# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · [illegible] 12 ივლისი 1996 №67 (292) · ფასი 40 თეთრი



ბაქარი ქართველიშვილის ფოტო

# ატლანტაში წავედით!

გუშინ საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის წევრები გაფრინდნენ მოსკოვს, საიდანაც დღეს პირდაპირი ჩარტერული რეისით გადაფრინდებიან ატლანტაში.

19 ივლისს ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალი გაიმართება, 20-ში კი შეჯიბრებებიც დაიწყება. მანამდე კი, 18 ივლისს ატლანტაში ოფიციალურად გაიხსნება „ქართული სახლი".

თბილისის აეროპორტში ჩვენი ოლიმპიელები გააცილეს ოჯახის წევრებმა, ახლობლებმა, მეგობრებმა, გულშემატკივრებმა.

სამშაბათს ჩვენმა სპორტსმენებმა სეოკ-ის მუზეუმში დადეს ოლიმპიური ფიცი. ისინი მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, ბოლოს კი საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მათ თავის რეზიდენციაში უმასპინძლა და გზა დაულოცა.

იხ. მე-7 გვერდი

## ინგლისელებმა შეგვამოწმეს

8-10 ივლისს თბილისში იმყოფებოდა ინგლისის ნაკრების მენეჯერი ბრაიან სკოტი, რომელმაც 9 ნოემბერს ჩასატარებელ საქართველო — ინგლისის მატჩისთვის წინასწარ დეტალურად შეისწავლა, სად და როგორ მოუწევთ თამაში, ვარჯიში, დაბინავება, კვება და მისთანანი. სკოტმა ნანახიც და ნათქვამ-დანაპირებიც დამაკმაყოფილებლად მიიჩნია. დაათვალიერა აგრეთვე დიღმის ბაზა და ავლაბრის სტადიონიც, რომლებიც ვარჯიშისთვის სარეზერვო ვარიანტად შეიგულა.

ინგლისელები ორ ჯგუფად ჩამოვლენ. ძირითადში იქნებიან ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების წევრები, ინგლისის ფედერაციის წარმომადგენლები, სპონსორები და ჟურნალისტების ნაწილი, სულ 140 კაცი, რომლებიც „მეტეხი-პალასში" დაბინავდებიან. მეორე ჯგუფად გულშემატკივრები და დანარჩენი ჟურნალისტები ჩამოფრინდებიან. ჯერჯერობით უცნობია, სად დაბინავდებიან ესენი. ვიცით მხოლოდ ერთი — სასტუმრო „აჭარისა" და ტაბახმელის სასტუმრო კორპუსის ხელმძღვანელთ 100-100 კაცის მიღების მზადყოფნა გამოუთქვამთ.

ინგლისელები 6 ნოემბერს ბოინგ-757-ით ჩამოფრინდებიან. მათ წინასწარ დაჯავშნეს ორი სატვირთო მანქანა, რადგან, გერმანელთა მსგავსად, ბრიტანელებიც დატვირთულები აპირებენ ჩამოსვლას.

10 ივლისს ბრაიან სკოტი თბილისიდან იტალიას გაფრინდა ამგვარივე მისიით. ინგლისელთა წარმომადგენელი 9 ნოემბრის შეხვედრამდე კიდევ ეწვევა თბილისს.

## მარგველთა დებიუტი მალტაში შედგება

ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის დავით კვინიკაძის თქმით, თავის პირველ შეხვედრას უეფას თასზე „შლემა უონდერერზთან" „მარგვეთი" 17 ივლისს საქართველოს ნაცვლად მალტაში გამართავს: „მატჩის მალტაში გამართვის თაობაზე ფაქსი უეფადან მივიღეთ. ამ ცნობას საფუძვლად გუნდების ურთიერთშეთანხმება ედო. 12 ივლისს ზესტაფონში უეფას თურქი დელეგატი იუსეფ ნამოღლუ ჩავა, რომელიც შეამოწმებს სტადიონის მდგომარეობას და იმ დღესვე აცნობებს უეფას, არის თუ არა ზესტაფონში მატჩის გამართვა შესაძლებელი".

ნამოღლუ 13 ივლისს „კოლხეთ" — „გინგამის" კომისრადაც მოგვევლინება.

„მარგვეთის" პრეზიდენტმა ვასილ ხაჭაპურიძემ გვაცნობა, რომ „შლემა უონდერერზთან" ზვიად ენდელაძე ორივე შეხვედრას ჩაატარებს და მხოლოდ ამის შემდეგ გაემგზავრება რუსეთს.

მომავალ მეტოქეზე პრეზიდენტმა ეს გვითხრა: „მალტელთა გუნდი ხელწამოსაკრავი ნამდვილად არ არის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ კლუბის შვიდი ფეხბურთელი ეროვნული ნაკრების წევრია, რომელთაგან ზოგმა 1994 წელს თბილისში საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა, ეს შეხვედრა კი, გეხსომებათ, ფრედ 1:1 დასრულდა. ამას დაუმატეთ მათი გამოცდილება — „შლემა" უკვე 26-ედ მონაწილეობს ევროტურნირში. თანაც, საქართველოს გუნდების მეტოქეთაგან ერთად-ერთია, ვინც ქვეყნის ჩემპიონი გახდა. ასე რომ, წინასწარ თავის დამშვიდება დიდი შეცდომა იქნებოდა, ჩვენ მეტოქის ძალა რეალურად უნდა შევაფასოთ."

## ვითამაშებთ იმ დღეს...

ახლახან გაუწყეთ, „დინამო" — „გრევენმახერის" უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი თბილისში, შესაძლოა, 17-ის ნაცვლად 16 ივლისს გაიმართოსო, მაგრამ ლუქსემბურგული კლუბის თხოვნასა და „დინამოს" ყაბულს უეფამ თავისი დასტური არ დაურთო და თამაშიც 17 ივლისს გაიმართება. ჩვენი ჩემპიონის ამ მატჩსაც, ბოლოდროინდელ ტრადიციისამებრ, მოემსახურებიან თურქი მსაჯები: მთავარს — იუნალ ჩიმენს დაეხმარებიან მუპარენ ფირუზბეი და მეთინ სიუანბაქანი, ორჰან ერდუმირი სათადარიგო იქნება. უეფასგან იდელეგატებს შვეიცარიელი ლეონ უოკერი.

გუშინ კი დინამოელები ესტონეთიდან დაბრუნდნენ და 17 ივლისის მატჩისთვის მზადებას დიღმის საწვრთნელ ბაზაზე განაგრძობენ.



# 20 ოქტომბერს, ვაკეში, დიდი ხნის ნანატრი სარაგბო მატჩი:

# საქართველო — რუსეთი

## ქართული სარაგბო დიპლომატიის ტრიუმფი

აქამდე ასე ყოფილა, რომ ბურთაობის რაგინდარა სახეობაში ქართველებს რუსებთან შებმა ეროვნული ნაკრების დონეზე არ გვიწევდა. ახლა ამასაც მოევლო და განგების ძალით ჩვენს ყოფილ უფროს ძმას არა ამხანაგურ და არაფრის-მაქნის, არამედ ოფიციალურ, მსოფლიო პირველობის შესარჩევის ტურნირის წინარე ეტაპის თამაშს გავუმართავთ და მერე რომელ სპორტში — რაგბში, სადაც გონზე, ალღოზე, სიმარდესა და ძალაზე ნაკლებად როდი ფასობს თავგანწირვა და გუნდის ერთსულოვნება, და სადაც ლელოს გატანაა თამაშის უზენაესი მიზანი როგორც გადატანითი, ასევე პირდაპირი მნიშვნელობით.

ამ ისტორიულ მატჩამდე სამი თვე რჩება. იგი გაიმართება შემოდგომის ერთ კვირა დღეს — 20 ოქტომბერს. ყველაზე სავარაუდო სარბიელი ვაკის სტადიონია, სადაც დიდი რაგბის გამართვის დიდი ტრადიციაც არსებობს და ქართველი მორაგბეებიც, ზოგიერთი სხვა, მყვირალად სახელდებული სტადიონისგან განსხვავებით, თავს ხიზნებად კი არ გრძნობენ, არამედ ჭეშმარიტ მასპინძლებად.

თამაშის გამართვის თარიღი და ადგილი დამტკიცდა მისი გამმართავის — ფირა-ს წლიურ სხდომაზე, ამ ერთი კვირის წინ რომ ჩატარდა მაროკოს სამეფოს კულტურულ ცენტრ კასაბლანკაში. იქ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ და ვიცე-პრეზიდენტმა ზაზა ქასაშვილმა დიდი ფხა გამოიჩინეს და ფირა-ს ხელისუფლებს სადაო საკითხები ჩვენი რაგბის სასარგებლოდ გადააწყვეტინეს, რაც ქართული სარაგბო დიპლომატიის დიდ გამარჯვებად უნდა შეფასდეს.

შეჯიბრებას ორიგინალურად — თითო წრედ რომ მართავს, სტუმარ-მასპინძლის განსასაზღვრად ფირა-ს ორი დაუწერელი წესი აქვს: ერთი, რომ სამგუნდა ტურნირში პირველ ნომრად განთესილმა მეორეს უნდა უმასპინძლოს, მეორემ — მესამეს, მესამემ კი — პირველს. მეორე წესის მიხედვით, თუ წელს მეტოქეს უმასპინძლე, გაისად უნდა ეწვიო.

პირველი წესი მუხთალი რამაა და იმისთვისაა მოგონილი, რომ სტატუს-ქვო — გუნდების დადგენილი უფროს-უმცროსობა, იოლად არ დაირღვეს. ეს ჩვენისთვანა ახალბედა ქვეყანას ხელს არ აძლევს. მის გასანეიტრალებლად ჩვენი რაგბის კავშირის წარგზავნილებმა ერთადერთი შანსი დიდებულად გამოიყენეს.

ჩვენს ჯგუფში მესამე გუნდი ჩეხეთია. მას აპრილში ვუმასპინძლეთ და ვძლიეთ. გასაგები მიზეზების გამო ჩეხებს ზედიზედ მეორედ: და ისიც ერთი წლის მანძილზე, შორეულ კავკასიაში სტუმრობა აღარ სურთ, რაც კიდეც მოახსენეს ფირა-ს. ამასაც რაღა დარჩენოდა, პირველი წესის უგულებელყოფა მოუწია, რადგანაც მეორე წესით ყველაფერი შესანიშნავად აეწყო: შარშან ხომ რუსებს არც ჩვენთან უთამაშიათ და არც ჩეხებთან, ამიტომ რუსეთი საქართველოს რომ ეწვიოს და ჩეხეთს უმასპინძლოს, ამითი არაფერი დაშავდება.

ქართველებმა და ჩეხებმა ამგვარად გააცუცურაკეს ყოფილი ბატონი. კალენდრის დადგენა მონაწილეთა დასტურით ხდება, ორი ხმა კი ერთს ყოველთვის აღემატება. არადა, რუსები თავილან ერთობ ყინჩად ყოფილან: მათი დელეგაცია, ვისაც თავკაცობდა კაცი, ბარემ 4 წელი მაროკოში წარმომადგენლად რომ მუშაობს, თურმე იბრიქებოდა, რუსეთში რომ გიმასპინძლებთ, იოლად მოგერევით, ვინაიდან თქვენი დუგლას კავთელაშვილი ჩვენი კონსულტანტია და ქართველი მოთამაშეების შესახებ ყველაფერი ჩაგვიკაკლაო.

თუ როგორ არგებთ რუსებს დუგლასის რჩევა, ამას ოქტომბერში ვნახავთ, თვით მატჩმა და მასში ქართველთა გამარჯვებამ კი რაგბს უეჭველად უნდა მოუპოვოს საზოგადოების კეთილ-განწყობა, რაც აქამდე ერთობ აკლდა.

ზაზა ფხაკაძე

## ქუთაისურთა სიახლენი

ქუთაისის „ტორპედოს“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა სოსო ფრუიძემ კლუბს თავისი ყოფილი გუნდის — წყალტუბოს „სამგურალის“ ფეხბურთელები მერაბ მეგრელაძე, გელა გელაშვილი, გივი ჯანელიძე და კახა ესაიშვილი შემატა. ამათ გარდა, „ტორპედო“ „რწმენიდან“ გადმოსული ვასო და სოსო გიგიაძეებით და ლაშა ფრანგიშვილით შეივსო. გუნდიდან წასული მეკარის ნაცვლად ფრუიძე „ანჯელის“ გოლკიპერის თემურ ნიშნიანიძის მიწვევას აპირებს.

## „მერანში“ დიდი კონკურენციაა

I ჯგუფის დებიუტანტი „მერანი 91“ უკვე შეუდგა სეზონისთვის მზადებას. ჯერჯერობით უცნობია, ვის დატოვებს მთავარი მწვრთნელი საჩემპიონატოდ გუნდთან მოვარჯიშე 28 ფეხბურთელიდან. გუნდში არავინ წასულა, ახლები საკმაოდ შეემატნენ — მაზიაშვილი, ტარყაშვილი (დინამო 2), მესხაძე, ხუბეჯიშვილი, ერაძე („არმაზი“), ქორიძე („მრეტები“), შ. დანელია („ეგრისი“), ლ. ამბიძე („მეტალურგი“), თოლორდავა („ალგეთი“) და ჭოლოკავა („აკადემია“). მერანი-91-ის ხელმძღვანელებს მცხეთის „არმაზის“ მეკარე ვოლკოვის დამატებაც სურდათ. გუნდში დარჩენილთა ვინაობა უახლოეს მომავალში გაირკვევა.

## კორდალიძე „გურიას“ უბრუნდება?

ლანჩხუთის „გურიას“ მთავარი მწვრთნელის გიგლა იმნაძის თქმით, ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება გუნდში მოთამაშე-მწვრთნელის ამპლუაში ოთარ კორდალიძის დასაბრუნებლად: „ამას გარდა, გვსურს მერაბ თევზაძის დაბრუნებაც და დათო გოდერძიშვილის დამატება. მადლობა უნდა გადავუხადო მცხეთის „არმაზის“ ხელმძღვანელობას, რომელმაც ორი მოთამაშე — მეკარე ვოლკოვი და წინახაზელი გაბარაშვილი ერთი წლით გვათხოვა. ამჟამად გუნდს ვაკომპლექტებთ. „გურიას“ თავდამსხმელი ავთო ნარიაშვილი ახალი სეზონიდან ერთ-ერთ მწვრთნელად იმუშავებს. ლანჩხუთის რაიონის თავკაცობამ გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი გასაჭირი და მათი შეწევნით შეკეთდა გრიგოლეთის ბაზა, ასე რომ, ახალ სეზონს მოწესრიგებული საფეხბურთო მეურნეობით შევხვდებით და ვარჯიშის ნორმალური პირობებიც გვექნება. ბოლოს კი გაუწყებთ იმას, რომ „გურიას“ ახალი პრეზიდენტი ჰყავს — გოგი ფაცურია.“

## უნივერსიტეტი ემზადება

I ჯგუფის ახალ წევრად მოვლენილი თბილისის „უნივერსიტეტის“ სპონსორის ზაალ ცხადაძის თქმით, გუნდი პირველ წრეში „შევარდენის“ სახელით ითამაშებს: „ფეხბურთის ფედერაციის დებულების თანახმად ჯგუფში თამაში უნდა გააგრძელოს იმავე სახელწოდების გუნდმა, რომელიც წინა ჩემპიონატში გამოდიოდა. მაგრამ მეორე წრეში ჩვენ „უნივერსიტეტის“ სახელით ვითამაშებთ. ამის თაობაზე უკვე შევთანხმდით „შევარდენის“ ხელმძღვანელებთან. ახლა მიმდინარეობს გუნდის დაკომპლექტება და მალე გაირკვევა, დარჩებიან თუ არა ჩვენთან ყოფილი შევარდენელები აბუსერიძე, მელქაძე, მინდიაშვილი, გოდერძიშვილი, აგრეთვე გაგუა. ამის შემდეგ კი უკვე დაკომპლექტებული გუნდი ლაგოდეხში, ნაკრების ბაზად შეგულებულ ადგილზე ჩემპიონატისთვის სამზადისის ბოლო ეტაპს გაივლის. გადავწყვიტეთ ისიც, რომ დავაარსოთ ფარმ-კლუბი, რომელიც II ჯგუფში ითამაშებს. ამჟამად მოლაპარაკებას ვაწარმოებთ „მეტალურგის“ ყოფილ მეორე მწვრთნელ თემურ ჩხაიძესთან, რომელიც თანხმობის შემთხვევაში ჩვენი ფარმ-კლუბის მთავარ მწვრთნელად იმუშავებს“.

## სად ითამაშებს ბათიაშვილი?

ამას წინათ გაუწყეთ, რომ საქართველოს 18 წლამდე ნაკრების მეკარე ზურაბ ბათიაშვილი ისრაელის „აპოელში“ უნდა გაესინჯათ. მაგრამ „აპოელის“ გარდა მას, გაცილებით უკეთესი ვარიანტებიც გამოუჩნდა. ბათიაშვილის სახელზე გერმანიიდან გამოაგზავნეს ფაქსი, სადაც იუწყებიან, რომ შესაძლოა ზურა ბათიაშვილს ორი ძლიერი გუნდიდან ერთ-ერთში გაუხერხონ გადასვლა. საუბარია „პ. ს. ვ. ეინდჰოვენის“ ან ლევერკუზენის „ბაიერნის“ ახალგაზრდული გუნდებს შესახებ.

ბათიაშვილის მენეჯერი ზურას აუწყებს, ამ საქმის გარკვევამდე სხვა გუნდთან კონტრაქტი არ გააფორმოო.

თავად მეკარის თქმით, თუ ამ ვარიანტებიდან არაფერი გამოვა, მაშინ ისევ „აპოელში“ გადავა. ამჟამად იგი პასუხის მოლოდინშია და ფორმის შესანარჩუნებლად დროებით „უნივერსიტეტთან“ ვარჯიშობს.

## კარიაული: პაოკთან მალე მოვილაპარაკებ

ამ მცირე ხნის წინ გაუწყეთ, რომ შსს აკადემიისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მარცხენა მცველი დათო კარიაული სალონიკის პაოკში იმყოფებოდა გასინჯვაზე. დათო ახლახან ვნახე და, ბუნებრივია, დავინტერესდი, მოაწერა თუ არა კონტრაქტს ხელი.

— სალონიკში საკუთარი სახსრებით წავედი. გუნდში ნათესავის დახმარებით მოვხვდი. ბერძნებმა გამსინჯეს და, როგორც შევნიშნე, მოვეწონე კიდეც. თანაც, გოლი გავიტანე. საერთოდ, ჩემთვის ჩვეულ მარცხენა ფლანგზე მათამაშებდნენ.

**— ვიცოდით, რომ პაოკთან კონტრაქტის გაფორმებას წინ არაფერი ედგა. რატომღა ჩამოხვედი?**

— აკადემიიდან, ჩემი ძველი გუნდიდან ოფიციალური განთავისუფლების ცნობა მჭირდებოდა. მალე კვლავ წავალ საბერძნეთში და უკვე პირობებზე მოველაპარაკები კლუბის ხელმძღვანელობას.

**— პირობებზე ჯერ არ გისაუბრიათ?**

— არა. გასინჯვაზე მყოფი ფეხბურთელი თავის პირობებს ვერავის მოახვევს თავზე.

სალონიკში ჩემნაირი 70 ფეხბურთელი იყო ჩამოსული. სხვათა შორის, ერთი ქართველიც იყო, სოხუმელი ლტოლვილი. გვარი არ მახსოვს. როგორც გავიგე, მანამდე იგი სალონიკის მეორე გუნდში, საბერძნეთის ჩემპიონატის II ლიგაში გამოდიოდა.

**— პაოკი ყოველთვის შედიოდა ბერძნულ საფეხბურთო ელიტაში. თუმცა წელს დიდი ჩავარდნა ჰქონდა — ბოლოდან მეორე ადგილზე გავიდა. შენს იქ ყოფნაში ხომ არ გსმენია, რა იყო ამის მიზეზი?**

— მართლაც, ძლიერი გუნდი იყო. წლევანდელი ჩავარდნის გამო ძველი პრეზიდენტი წავიდა და მისმა შემცვლელმა საქმეს სერიოზულად მოჰკიდა ხელი, გუნდში ძლიერი ფეხბურთელების მოყვანა დაიწყო. ვიცი, რომ მოლაპარაკებას მოსკოვის დინამოელ ანდრეი ჩერნიშოვთანაც აწარმოებენ.

**— შენს გარდა, კიდევ რომელიმე ჩვენებურს ხომ არ დაკავშირებიან?**

— მითხრეს, კარგი გამთამაშებელი თუ გვჯულება, იქნებ ჩამოიყვანოო. მაგრამ მალე შეკრება გვეწყება და ასეთი ფეხბურთელის ძებნის დრო აღარ მრჩება.

**— უელსის ახალგაზრდულ ნაკრებთან შეხვედრის შემდეგ ითქვა, თითქოს ინგლისური გუნდები იყვნენ შენით დაინტერესებული. თუმცა ეს ლაპარაკის დონეზე დარჩა. მიზეზი?**

— მეც არ ვიცი. კი მითხრეს ამის შესახებ, მაგრამ რომელი გუნდი დაინტერესდა, არ ვიცი, მოკლედ, ეს მხოლოდ ლაპარაკი იყო. რეალური მხოლოდ პაოკში ჩემი გადასვლაა.

**მერაბ მამულაშვილი**

# „ცხუმი“ უსოხუმოდ არ იქნება



ომი წავაგეთ, აფხაზეთი დაიკარგა, თბილისი ლტოლვილებით აივსო... დრო ყოვლის მკურნალია, ტკივილსაც აყუჩებს და ადამიანიც ყველაფერს ეჩვევაო ამბობენ, სოხუმელები კი ვერაფრით გადაჩვეულან მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ მეტყველებას, დღენიადაგ მშობლიური კუთხის ნატვრას, სურათებდამშვენებული შავი სამოსით სიარულს, ერთმანეთის გატანას და... ფეხბურთს. უნდა გენახათ, რა ჟივილ-ხივილი იყო სპორტის დეპარტამენტის დარბაზში, ჟიული შარტავას სახელობის ტურნირზე მინი-ფეხბურთში აფხაზეთის წარმოება-დაწესებულებებს შორის. თოთხმეტი გუნდი ორ ქვეჯგუფად დაყოფილი, ლამის სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდა ერთმანეთს. მოენატრათ სოხუმელებს ფეხბურთი და თავის ჭიას ახარებენ. თბილისელ კაცს მინი-ფეხბურთის ტურნირით გამაკვირვებს ვინმე? მაგრამ ამგვარს არ ველოდი.

სოხუმის, „ცხუმის“ ვიცე-პრეზიდენტი, გურამ გაბისკირიას მარჯვენა ხელი ნოდარ კაკულია ამ ტურნირის ერთ-ერთი თავკაცი იყო. მას კარგა ხანია ვიცნობ, იმ დროიდან, გურამ გაბისკირიას მხარში რომ ამოუდგა და „ცხუმის“ ჭაპანის მანაც ზიდა, ბატონი გურამი მართლაც სასაწაულებს სჩადიოდა, „ცხუმის“ პრეზიდენტობას და ქალაქის მერობას ხომ ერთმანეთს უთავსებდა, მტერსაც მედგრად ებრძოდა და, წარმოიდგინეთ, გუნდს თამაშზეც კი დაჰყვებოდა. უგაბისკირიოდ „ცხუმი“ დაიშალა, ნოდარ კაკულია ახლა ფეხბურთის ფედერაციაში მუშაობს და, როგორც მითხრა, კვლავ „ცხუმის“ ვიცე-პრეზიდენტია, რაკილა გუნდის ხელმძღვანელი კვლავაც გურამ გაბისკირიაა, უგზო-უკვლოდ გამქრალი და ლამის სიცოცხლეში ლეგენდად ქცეული...

**— ბატონო ნოდარ, მალე მერვე ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება, ჩემპიონატი, რომელშიც, მესამე სეზონია, სოხუმის „ცხუმი“ არა ჩანს. გუნდის დაშლის შემდეგ თითქმის ყოველი სეზონის წინ დაირხევა ხოლმე ხმა, „ცხუმი“ უნდა აღსდგესო, მაგრამ ხმა ხმადვე რჩება. ახლა კი ეს ხმაც აღარ ისმის. ნუთუ შეეგუეთ სოხუმელები „ცხუმის“ გაქრობას?**

— ბოლო წლებში ხშირად ბრძანდებოდით სოხუმში და ჩინებულად იცით, რომ „ცხუმი“ აფხაზეთში ქართველთა თავისუფლების სიმბოლო იყო. „ცხუმი“ არ იყო მარტო ფეხბურთის გუნდი და მის არსებობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გურამ გაბისკირია, „ცხუმის“ დამაარსებელი, ალბათ ერთადერთი კაცი იყო აფხაზეთში, ვისაც შეეძლო გუნდის პატრონობა ომის დროსაც კი. გურამის დაკარგვის შემდეგ „ცხუმი“ ინერციითღა არსებობდა, დავაპირეთ კიდეც გუნდის აღდგენა, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ვერც ფინანსები ვიშოვეთ და ფეხბურთელებიც შემოგვეფანტნენ. ახლა რომ ვუკვირდები, ვხვდები, რომ სანამ აფხაზეთში არ შევალთ, გუნდის აღდგენა ფუჭი ოცნებაა. „ცხუმს“ თავისი ლაზათი ჰქონდა, საკუთარ ფეხბურთს თამაშობდა. ახლა სპონსორი რომც მოვძებნოთ და გუნდი შევკრიბოთ, მაინც არ ექნება აზრი და, აი, რატომ: „ცხუმი“, არ მაჩანჩალობას ჩვეული, მუდამ მაღალი ადგილებისთვის იბრძოდა. შეკრიბო გუნდი და შუა სეზონში დაგეშალოს, აბა, ეს საქმეა? ფეხბურთელს რომ მოიყვან, იმდენი ფული უნდა მისცე, ოჯახი არჩინოს, ჩვენ კი გარანტირებულნი არაფრით არ ვართ. ვიქნებით მუდამ გავარდნის საფრთხეში, თანაც, ნუ დავავიწყდებათ, რომ, ფაქტობრივად, მუდამ გასვლაზე მოგვიწევს თამაში. „ცხუმმა“ კი სოხუმში უნდა ითამაშოს...

**— ჟიული შარტავას სახელობის ტურნირს იმდენი ხალხი ესწრებოდა და ისეთი ჟრიამული იყო, ვიფიქრე „ცხუმი“ რომ აღიდგინონ, თბილისში მაყურებელი არ მოაკლდება-მეთქი...**

— მინი-ფეხბურთის ტურნირი მაინც სხვაა. თანაც ტურნირს ჩვენი ეროვნული გმირისადმი მოწიწება და პატივის მიგებება ეკისრება. დიდი ფეხბურთი კი უამრავ ხარჯებთანაა დაკავშირებული და მოთამაშეთა სულ სხვა კონტიგენტს მოითხოვს. ისე კი, აფხაზეთი დავიბრუნოთ და, პირობას გაძლევთ, პირველივე სეზონში ისეთ გუნდს დავაყენებთ, თქვენი მოწონებული. ფეხბურთის ფედერაცია ამ მხრივ მხარში გვიდგას და ყველა იმ ფეხბურთელს დავაბრუნებთ, კონტრაქტით ჩვენ რომ გვეკუთვნის. ისე, კონტრაქტი რად უნდათ, სოხუმში შევედივ და სოხუმელები თავად მოვლენ „ცხუმში“.

**— მოდით მაშინ ყველა ის ფეხბურთელი გავიხსენოთ, ვისაც „ცხუმთან“ რაიმე აკავშირებდა და ახლა სხვა გუნდებში არიან. რამდენადაც ვიცი, თქვენ ყველა მათგანზე გაქვთ ინფორმაცია. ახლახანს ვესაუბრე მერაბ ჟორდანიას, რომელმაც განაცხადა, რომ ზვიად ჯელაძის „დინამოში“ გადმოყვანის საკითხზე „ცხუმის“ ხელმძღვანელებს უნდა დაველაპარაკოთო.**

— მე და ჟორდანიამ ზვიად ჯელაძის შესახებ უკვე ვისაუბრეთ. აბა „დინამოში“ გადასვლაზე ბიჭს უარს როგორ ვეტყვი? ოღონდ, ხელშეკრულებებში ჩაიწერება, რომ როცა სოხუმის „ცხუმი“ აღდგება, თუკი თავად ფეხბურთელი მოისურვებს, „დინამომ“ უპრობლემოდ უნდა გამოუშვას „ცხუმში“. თუკი „დინამო“ ზვიად ჯელაძეს უცხოურ კონტრაქტს გაუფორმებს, მე არ ვიქნები წინააღმდეგი ამისა. აი, დაახლოებით ასეთ კონტრაქტს გავაფორმებთ ჩვენ და „დინამო“ ამ ფეხბურთელის შესახებ...

**— ბარემ აქვე მის ძმაზე, გიზო ჯელაძეზეც ვთქვათ, რომელიც შარშან გადავიდა „დინამოში“.**

— გიზომ უკვე მოაწერა ხელი კონტრაქტს და ისიც იგივე პირობითაა წასული „დინამოში“.

**— ახლა ის ფეხბურთელები ჩამოგვითვალეთ, კვლავინდებურად „ცხუმს“ რომ ეკუთვნიან და გუნდის აღდგენის შემთხვევაში თქვენ დაგიბრუნდებიან.**

— თენგიზ სიჭინავა და ზურაბ მინდაძე „ბათუმში“ არიან. მათ ორწლიანი კონტრაქტი ჰქონდათ გუნდთან და უკვე ამოეწურათ. ჩვენი თანხმობის შემდეგ კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაგრძელდა. ლევან მიქაძე, ასევე ჩვენი თანხმობით, ზუგდიდში აგრძელებს კარიერას. მამუკა რუსია ჩინეთში იყო, ვერ გაძლო, ჩამოვიდა და ახლა რუსეთის ერთ-ერთ გუნდში გაემგზავრა. სოსო მალანიაც ჩინეთშია, მეკარე ზური გვაჩახია რუსეთში იყო, ახლა ჩამოსულა და ზესტაფონში ვარჯიშობს, ლავრენტი გაგუა „შევარდენში“ ითამაშებს, კიდევ ერთი „ჩინელი“, გოჩა ჟორჟოლიანი, მოგეხსენებათ, ბრწყინვალედ თამაშობს შანხაიში და „ცხუმის“ აღდგენის შემთხვევაში ალბათ ისიც დაბრუნდება. შერმადინ დანელიამ „მერანი 91“-ში [illegible] კონტრაქტის ვადა გაუვიდა და ახლა [illegible] რუსეთშია. ეს ის ფეხბურთელები არიან, რომელთა დაბრუნების იმედიც მაქვს.

**— ამათ გარდა „ცხუმში“ კიდევ ბევრი ფეხბურთელი იყო...**

— მიხეილ ჯიშკარიანის ამბავი ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, მას კლუბთან იურიდიულად აღარაფერი აკავშირებს, ისევე, როგორ მასსავით რუსეთში მოასპარეზე იური გაბისკირიას. გრიგოლ ცაავამ არც მინდორზე და არც მინდვრის გარეთ არაფერი დაზოგა სოხუმისთვის და ახლა, როგორც შევიტყვე, ფეხბურთისთვის თავი დაუნებებია. თუკი „ცხუმი“ აღდგა და სოხუმში დავბრუნდით, გრიშაზე კარგი კანდიდატურა მთავარი თუ არა, ერთ-ერთი მწვრთნელის პოსტზე, არ მეგულება. გიორგი გოგიაშვილი ჩვენ ყოველგვარი პირობების წაუყენებლად გავუშვით, რაკილა „სამტრედიამ“ ბინაც შეუძინა და მას ოჯახიც დაეხმარა, ამიტომ რა უფლება გვქონდა ხელი შეგვეშალა. დიმა პაპავა და მელორ ბიგვავა საკმაო ხანია გერმანიაში არიან და არც მათ აკავშირებთ იურიდიული რამე გუნდთან. ახალგაზრდა მიშა საჯაია თავიდანვე „მრეტებში“ გადავიდა, ვაჟა ჩხაიძემ შეილივით გაზარდა და ახლა ისიც გერმანიაშია, გიორგი ჩიხრაძეც მოგეხსენებათ, დონეცკის „შახტიორში“ თამაშობს, გოჩა გოგრიჭიანი ისევ სოჭს დაუბრუნდა, ზურაბ ფარულავა რუსეთში გადასახლდა, გაიოზ ჯეჯელავა სანქტ-პეტერბურგის ერთ-ერთ გუნდშია, ისევე, როგორც აშოტ კურგენიანი. ლურწკაიასი არაფერი ვიცოდი, ამ ორი დღის წინ შემეხმიანა, თურმე რუსეთში ყოფილა, კომერსანტობდა და ახლა ისევ საქართველოში დაბრუნდა, ვარჯიში დავიწყეო — მითხრა. ვეტერანი მეკარე გურგენ ბენიძეც რუსეთში მოღვაწეობს. დოჩიას, პაპასკირს და მეკარე კვარაცხელიას ასავალდასავალი არ ვიცი. ლაშა ცაავა „უნივერსიტეტის მეორე გუნდში იქნება.

**— „ცხუმს“ არაერთი მწვრთნელი ედგა სათავეში. ნიკა ამირეჯიბი თბილისშია, გოგი ნორაკიძე ამ ორი წლის წინ გარდაიცვალა, ნუგზარ ბოჯგუა სენაკის „ეგრისს“ წვრთნიდა, თანაც მოსკოვში, მწვრთნელთა სკოლაში სწავლობდა. დანარჩენებისა რა იცით?**

— ირაკლი ქოიავა ბოლომდე იბრძოდა და ისიც გურამ გაბისკირიასავით უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მეორე მწვრთნელი მერაბ გოგოხია მოსკოვშია, თან ბიზნესმენობს, თანაც მწვრთნელთა სკოლაში სწავლობს. გუნდის ექიმი იური ხაბურზანია სოხუმის შტურმის დროს დაიღუპა.

**— მაშ, „ცხუმის“ აღდგენას კვლავაც არ უჩანს პირი...**

— უსოხუმოდ აზრი არა აქვს, „ცხუმი“ სოხუმში უნდა თამაშობდეს, მასში სოხუმელები უნდა იყვნენ და სტადიონზეც სოხუმელი გულშემატკივარი უნდა გუგუნებდეს. სხვაგვარად წყალის ნაყვაა.

ამასწინათ იუსტიციის სამინისტროში ვიყავი, კლუბის ხელახალი რეგისტრაციის თაობაზე, პრეზიდენტად კვლავაც გურამ გაბისკირია ჩავწერე. ვინ იცის...

– ტკივილი თითქოს მართლა მინელდა, მაგრამ ახლა, ამ სტრიქონების წერისას, გული კვლავ აჩქარებით მიცემს, რადგან თვალწინ მიდგას სოხუმის ცენტრალური სტადიონი, მზით გარუჯული ცხუმელები, მხოლოდ მათთვის ჩვეულ, „სოხუმსკი“ ფეხბურთს რომ თამაშობენ, აგუგუნებული მაყურებელი და ტანში ჟრუანტელი მივლის. ვიცი, ყველა ამ დღეში ვართ, ტკივილი, ვითომც გაყუჩებული, მაინც ტკივილად რჩება. ჩვენი თაობა სოხუმის დაკარგვის მნახველი თაობაა, ვნახოთ, სოხუმის დაბრუნებას თუ მოესწრება და თუ ასეც იქნა, წარმოგიდგენიათ, რა მოხდება სოხუმის ცენტრალურ სტადიონზე გამართულ პირველ მატჩზე?



ძველი კარგი დრო: გურამ გაბისკირია და მიხეილ ჯიშკარიანი

**მამუკა კვარაცხელია**

## წავა — არ წავა?

ხმები, რეზო ძოძუაშვილი „მეტალურგიდან“ წავიდაო, არ დაადასტურა რუსთაველთა ერთ-ერთმა მწვრთნელმა იასონ ალადაშვილმა. მისი თქმით, ძოძუაშვილის გუნდში დარჩენა-არდარჩენის საკითხი მისი საქართველოში ჩამოსვლისა და სპონსორებთან შეხვედრის მერე გადაწყდება. ამის შემდეგვე გაირკვევა ისიც, ვინ წავა გუნდიდან. არადა, ფაქტია — ახლახან „შევარდენის“ სტადიონზე „უნივერსიტეტთან“ საკონტროლო შეხვედრაში რუსთავის გუნდი ძველის ლანდიღა იყო. ძირითადი შემადგენლობიდან გუნდში მხოლოდ მურად ყაველაშვილიღა თამაშობდა. ისევ იასონ ალადაშვილს მოვუსმინოთ:

— ძოძუაშვილი ახლა ისრაელშია, იქ ჩვენი სამი ფეხბურთელი — რეხვიაშვილი, ჩალაძე და ზირაქიშვილი არიან გასასინჯად ჩასულნი. მთავარი მწვრთნელი წასვლამდე სპონსორებს შეხვდა და უთხრა, თუ თქვენ „მეტალურგს“ არ მიატოვებთ, არც მე წავალო. მას შემდეგ რა მოხდა, რა გადაწყვიტა, ვერ გეტყვით. ფაქტი კია, ჩვენი სპონსორები გუნდის მიტოვებას არ აპირებენ და კვლავ ძლიერი გუნდის შექმნაზე ფიქრობენ. რაც შეეხება წამსვლელებს, ზემოთ ჩამოთვლილი სამი ფეხბურთელის გარდა, შესაძლოა, გუნდის კაპიტანი, ჩემი შვილი კახა ალადაშვილიც წავიდეს გერმანიის რეგიონალური ლიგის ერთ-ერთ გუნდში. სხვებს კი ჯერჯერობით „მეტალურგი“ ოფიციალურად არ დაუტოვებიათ.

## პაატა გამცემლიძე ტრავმამ შეაწუხა

„დინამო-2“-ის გამთამაშებელი პაატა გამცემლიძე ხერხემლის ტრავმის გამო უკვე რამდენიმე თვეა ველარ ვარჯიშობს. ექიმების თქმით, პაატას ოპერაცია ესაჭიროება. არადა, ტრავმა რომ არა, გამცემლიძე, ალბათ, რომელიმე ევროთასზე ითამაშებდა. მისით „ბათუმი“ და „მარგვეთი“ იყვნენ დაინტერესებულნი. პაატას გადაბირების მსურველებს, მიუხედავად მისი ავადმყოფობისა, „მერანი-91“ და „სამტრედია“ შეემატნენ.

# ნეტავ საქართველოში მივდიოდეთ...



ფინეთში წასვლამდე „იაროს“ შესახებ მასალებს რომ ვეცნობოდი, ცნობარებში ალექსეი ერიომენკოს გვარ-სახელი აღმოვაჩინე. ერთ-ერთ ფინურ ცნობარში რუსი ფეხბურთელის ფოტოსაც წავაწყდი, მაგრამ ჩემი ახაკის გამო მასზე არაფერი მსმენოდა და განსაკუთრებული ასოციაციები არც აღმძვრია. ვგ იყო, ვიდრე წლებს საგანგებოდ ჩავუკვირდებოდი ლამის იყო რუსული მინიფეხბურთის გამოკვეთილ ლიდერში, მოსკოვის „დინას“ ბომბარდირ ერიომენკოში ამერია. გულახდილად გითხრათ ჩემზე გამოცდილთა და მრავლისმნახველთა მონათხრობმაც ბევრი ვერაფერი შემმატა. ვიფიქრე, ფინეთში სათამაშოდ წასული კაცი რა უნდა იყოს-მეთქი. თანაც ის იყო, სურათს რომ დავხედე, ღიცილი ამიტყდა — ჯამბაზივით აჭრელებული მაისური ეცვა და ამან ხომ მთლად ჩამაქნევინა ხელი. რა შთაბეჭდილება დამრჩა მასზე თამაშის ხილვის შემდეგ, ამას წინა „სარბიელში“ შეიტყობდით. მანამდე კი ჩვენი „მასპინძლის“ ერუდიციამ და ხასიათის ზოგიერთმა შტრიხმა გამაოცა. ჩვენი საუბარი ჩასვლის დღეს, საღამოს, ვარჯიშისას დაიწყო და აეროპორტში გამოცილებით დაამთავრა. ამ ნაუბარს ვერც დავარქმევ ინტერვიუს, რადგან, ერთი რომ, ინტერესის ობიექტები ელვისებურად იცვლებოდა, მეორეც, რესპონდენტების როლში საკმაოდ ხშირად სტუმრებიც გახლდით. პირველი კითხვა რა იქნებოდა, ძნელი მისახვედრი არ არის.

**— როგორ მოხვდით ფინეთში?**

— ჩემს ახლანდელ კლუბს მოსკოვის „დინამოსთან“ ჰქონდა კონტაქტი და მათი საშუალებით დამიკავშირდნენ. ამათ ჩემზე ბევრი რამ იცოდნენ და აქ გასასინჯად კი არა, იმ პირობების გასაცნობად ჩამოვედი, რომლებსაც მთავაზობდნენ.

**— როგორი იყო პირველი შთაბეჭდილება?**

— საშინელი. 1990 წლის ივნისში რომ ჩამოვედი, მაშინ აქ ძალიან დაბალი დონე დამხვდა, მერე კი ამაღლდა ცოტა.

**— რაკი უცხოეთიდან მოგიწვიეს, ძირითადში მოხვედრის პრობლემა ალბათ არ გექნებოდათ. გუნდთან შეგუება ხომ არ გაგიჭირდათ?**

— არა. აქაურობას საკმაოდ მალე შევეგუე, მაგრამ პირველ წელს სეზონის ბოლომდე ვერ ვითამაშე. ეს იმის გამო, რომ გუნდში უკვე ჰყავდათ ორი ლეგიონერი — პოლონელი და ესტონელი. მომდევნო სეზონში ესტონელი სხვა გუნდში გადავიდა და მეც ნელ-ნელა დავიწყე ჩემი საქმის კეთება.

სხვათა შორის, იაკობსტადში კარგად შემხვდნენ. მოგვიანებით ლიტმანენსაც კი მადარებდნენ ფიზიკური მსგავსების გამო. იგი აქაც გამოირჩეოდა. მას ჩვენ თასის ფინალში შევხვდით და მისმა გოლმა გადაწყვიტა იმ მატჩის ბედი. ლიტმანენი ათი თავით მაღლა დგას სხვა ფინელ ფეხბურთელებზე, მაგრამ, ვფიქრობ, „აიაქსში“ რომ არ იყოს, ასეთი ფეხბურთელი ვერ იქნებოდა. ვიცი „აიაქსის“ ტაქტიკა და ამას იმიტომ ვამბობ.

**— ბოლო სეზონში რომელი ადგილი დაიკავა თქვენმა კლუბმა?**

— შარშან მეხუთეზე გავედით.

**— აქ ალბათ ფეხბურთი მეორეხარისხოვანი სახეობაა ჰოკეის შემდეგ...**

— მაყურებელთა დასწრებით და ინტერესის მხრივ მესამეა.

**— ჰოკეის სამთო-სათხილამურო სპორტი მოსდევს?**

— არა. ჩვენს ქალაქში მას ბევრი მიმდევარი არ ჰყავს. ჰოკეის შემდეგ რაღაც ბეისბოლის მსგავსი სპორტია, რომელიც აქაურებს თავისებურად მოუნათლავთ. როცა ვუყურებ, ვერ ვხვდები, რა განსხვავებაა ამათ შორის. ეს ხომ იგივე ბეისბოლია.

**— გასაგებია, რომ ფეხბურთი მესამეა, მაგრამ მაინც რამდენი მაყურებელი ესწრება თითოეულ თამაშს?**

— საშუალოდ 1 800 კაცი. „გინგამთან“ ხარეკორდოდ ბევრი, 4 000 მოვიდა. ეს კი ქალაქის მთელი მოსახლეობის მეხუთედია. იაკობსტადი 18-ათასიანია, გარეუბნებთან ერთად კი მხოლოდ 20 ათასს აღწევს.

**— ნაკლები ინტერესი ბილეთების სიძვირის ბრალი ხომ არ არის?**

— არა. უბრალოდ, ჰოკეი ამათთვის ეროვნული სახეობაა. ბილეთები კი არც ძვირია და გასაღების საკმაოდ საინტერესო წესიც აქვს: ყველაზე იაფი, 30 მარკა ბავშვებისთვის ღირს სტადიონზე შესვლა. 40-ად ქალები შედიან, კაცები კი აქ ძვირად ფასობენ და 50 მარკა ღირან, თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი დოლარი 4-5 ფინურ მარკად ფასობს, ვერ ვიტყვით, ძვირიაო.

**— ზოგადად როგორია ფინეთის ჩემპიონატი, დაძაბულად თუ მიმდინარეობს?**

— ერთადერთი, რაც აქაურ პირველობას სხვებისგან გამოარჩევს, ეს სწორედ ინტრიგაა. შარშან წარმოუდგენელი რამ მოხდა: „კუუსუსი“ გავარდა. არანაკლებ ცნობილმა ჰიკმა ბოლო ორი თამაში წააგო. შარშანდელ ჩემპიონს ჰაკას ბოლო ორი თამაშია, ვერ მოუგია. სხვათა შორის, ამ გუნდში ოლეგ პოპოვიჩი თამაშობს და შარშან ბომბარდირიც გახდა. წლევანდელი ჩემპიონატი იმანაც დაძაბა, რომ წელს გუნდებს თორმეტიდან ათამდე ამცირებენ და მერე სამწრიანი გათამაშება იქნება. პირველ 6 ადგილზე გასულნი ავტომატურად რჩებიან I დივიზიონში, დანარჩენმა ექვსმა კი დასარჩენად უნდა იბრძოლონ. ჩვენ ახლა მეექვსეზე ვართ და წინ მყოფს 5 ქულით ჩამოვრჩებით, თანაც თადარიგში ერთი გამოტოვებული მატჩი გვაქვს.

**— რუსები მრავლად არიან ფინეთში?**

— მოთამაშეები ბლომად არიან სხვადასხვა გუნდებში, ჩვენს ქალაქში კი მხოლოდ ორი რუსული ოჯახია. ერთი ექიმია, მეორეც სწავლობს. აქ რომ ჩამოვედი, ყოფილი თანამემამულეებიდან ბევრი დამხვდა. რამდენიმე ახლაც შემორჩა. პოპოვიჩზე გითხარით. მის გარდა ვასილი კარატაევიც კარგად თამაშობდა როპსში, მაგრამ ახლა ჰელსინკიში II დივიზიონის ერთ-ერთ გუნდშია, უკვე 38 წლისაა და, ასე ვთქვათ, სიბერისთვის ზრუნავს. ფინეთში ჩამოსვლისას ბურიაკიც აქ დამხვდა, მაგრამ მალევე წავიდა.

**— აქბით ისიც ისვენებდა...**

— არა. ის უფრო იტანჯებოდა, რადგან ასაკოვანი მოთამაშისთვის ძნელია I დივიზიონში თამაში.

**— თქვენზე რას გვეტყვით. ეს თქვენი კარიერის ბოლო ეტაპია?**

— ვერ ვიტყვი, რომ ასეა. ბევრს ვფიქრობ და ვცდილობ, რომ უკეთეს გუნდში და უკეთეს ჩემპიონატში ვითამაშო. შარშან ზამთარში საბერძნეთში ვიყავი კიდეც. „ათინაიკოსში“ ვთამაშობდი და არცთუ ურიგოდ, მაგრამ ბერძნები ჩემგან იმაზე მეტს ითხოვდნენ, ვიდრე შემძლია. ერთ რამეში დავრწმუნდი: თუ რომელიმე გუნდში გადახვალ, უნდა წახვიდე არა მხსნელად, არამედ ჩვეულებრივ მოთამაშედ. „ათინაიკოსში“ მეუბნებოდნენ: კარგი ფეხბურთელი ხარ, მოგვწონხარ, მაგრამ ჩვენ გამტანი გვინდაო. „იაროში“ ის მაჩერებს, რომ ვგრძნობ, ვიღაცას ვჭირდები. თანაც ჩემი ბიჭები აქაურ სკოლაში სწავლობენ და გარემოს მიეჩვივნენ. ეგაა, უფროსმა შემაწუხა. აქაურებთან პრობლემები აქვს. ერთი-ორჯერ ქუჩაში სცემეს კიდეც. პოლიციას კი შევატყობინე, მაგრამ რა უნდა ქნან — მთელ ქალაქში სულ 2 პოლიციელია. ქალაქის ბურგომისტრი თვლის, რომ ფინელები წესიერი ხალხია და მეტი არ სჭირდებათ.

**— თქვენი ვაჟი ფეხბურთს თუ თამაშობს?**

— რას ამბობთ! 2 წლიდან ჩემს გვერდითაა. გაგიჟდებით, ისეთი მოთამაშეა. ახლა 13 წლისაა და უკვე შეუძლია ჩვენთან ერთად ივარჯიშოს, ბურთი მშვიდად მიიღოს და აზრიანი პასიც გასცეს. ყოველ წელს თანატოლებში ბომბარდირი ხდება. „აიაქსის“ სკოლაშიც იყო გასასინჯად, მაგრამ ასეთები იქაც ბლომად ჰყავთ და რომ მიიწვიონ, მათზე უკეთესი უნდა იყოს. ახლა ისეთ ასაკშია, როცა ბავშვები ტანსაცმელზე იყურებიან. ემას არ ვუშლი, მაგრამ რჩევებსაც ვაძლევ, თუ უნდა ფეხბურთელი გამოვიდეს, რა უნდა აკეთოს.

**— იაკობსტადი როგორი ქალაქია, მოგწონთ?**

— ნორმალურია. წყნარი სიტუაციაა. ხალხი ძლიერ შრომისმოყვარე და წესრიგიანია. აქაურთა 65 პროცენტს შვედები შეადგენენ და ეტყობა კიდეც ქალაქს მათი ხელი. ისინი ფინელებზე უფრო ერუდირებულნი არიან. მენტალიტეტიც სხვაგვარი აქვთ. მეც ჩემი ბიჭები შვედურ სკოლაში შევიყვანე. იმანაც გადამაწყვეტინა, რომ შვედური ინგლისურსა ჰგავს და ევროპაში ფინურზე მეტად ასმით. მეც შვედური ვისწავლე, მაგრამ სახლში რუსულად ლაპარაკი კანონად გვაქვს.

**— თვითონ „იარო“, როგორც კლუბი, რას წარმოადგენს?**

— სამოყვარულო გუნდია. ფეხბურთელები დღისით მუშაობენ, საღამოობით კი ვარჯიში აქვთ. კლუბის შემოსავლების ძირითად ნაწილს ბილეთების საზღაურთან ერთად რეკლამებიდან შემოსული თანხები შეადგენს. ხვალ თქვენ ვერ იხილავთ იმ ფორმას, რომლითაც ჩემპიონატში ვთამაშობთ. მასხარებს ვგავართ, იმდენი რეკლამა გვაქვს აწებებული. საყელოზეც კი სარეკლამო წარწერა გვახატია.

**— მოთამაშენი ფეხბურთს უფრო შემოსავლის წყაროდ განიხილავენ თუ განსაკუთრებული ინტერესითა და მონდომებით ეკიდებიან?**

— ბიჭები ძალიან ინდომებენ. მწვრთნელიც ისეთი გვყავს, რომ უნდა ყველასთვის კეთილი იყოს და სათადარიგოებსაც ხშირად აძლევს თავის გამოჩენის შანსს. ისეთებიც არიან, პროფესიონალობაზე რომ ფიქრობენ. აი, მაგალითად, ჩვენი მეკარე სულ 21 წლის ბიჭია, ოლიმპიური ნაკრების წევრი. თამაშამდე თავზე პირსახოცს გადაიფარებს და ფიქრობს ხოლმე. თამაშისას კი კარიდან დასარტყმელად ბურთს რომ დადებს, უკან სამ ნაბიჯს გადადგამს, მუშა ფეხს მოხრის, გაშლის და მერეღა ურტყამს. ამას ისე ხშირად აკეთებს, რომ გვეცინება. ოღონდ ისე არა, რომ ვაგრძნობინოთ. გინდა რომ ასე იქცეოდე? შენი ნებაა, ოღონდ, საბმეს, არ უნდა ავნო. ისე, იგი საოცრად შრომისმოყვარეა. ვარჯიშის მერე არასდროს უთქვამს უარი კარში ჩადგომაზე და დამატებით გარჯაზე. სხვებს კი, ყოფილ მეკარეებს, იგივეს რომ შევთავაზებდი, ხან რას იტკიებდნენ, ხან რას.

**— ინგლისელი მცველი ელიოტი ისევ თქვენს გუნდშია?**

— როპსში გადავიდა. საერთოდაც, ჩვენთან ლეგიონერი აღარც დარჩა. უკვე 5 წელია აქ ვარ და აღარ ვითვლები ლეგიონერად. მალე, ალბათ, მოქალაქეობასაც მომცემენ...

**— წარსული, საბჭოური პერიოდიდან რას გაიხსენებთ?**

— როსტოვში ინტერნატში სწავლისას გოგრიჭიანთან და ხაგბასთან ერთად ვიყავი. იქვე იყვნენ ჟიდკოვი, სტეპუშკინი. მოგვიანებით გუბაზიც ჩვენთან მოვიდა. უნიჭიერესი ფეხბურთელი იყო. საქმეს ჭკუა ვერ დააყოლა და თავი გაიფუჭა. ახლა, როგორც მითხრეს, სულაც შეეშვა ფეხბურთს და როსტოვში საეჭვო ხალხთან დაიჭირა საქმე. მახსოვს გიორგი ღოჩიაც. ბევრი ვიცინე, როცა „ფუტბოლ-ჰოკეიმ“ კაპიტნები წარადგინა და ქუთაისის ტორპედოელ ღოჩიას გასწვრივ 28 წლისაო, ეწერა. არადა, ერთად ვთამაშობდით, მე კი მაშინ უფრო ახალგაზრდა ვიყავი.

**— ავად მოსაგონარი რაიმე გაქვთ?**

— როგორ გითხრათ, როსტოვის სკა-ში რომ ვთამაშობდი, ბესკოვი დიდხანს მეძახდა თავისთან, მაგრამ მე პრაპორშიკი ვიყავი და ასე იოლად ვერ მივდიოდი. მერე კი მოვხვდი „სპარტაკში“, მაგრამ მაშინ უკვე დაოჯახებული გახლდით და ბაზაზე ცხოვრება აღარ შემეძლო. ისე შეუცვლელია ეს სკოლა, ბესკოვი დიდი მწვრთნელია. ეგ იყო, ფეხბურთელს ისე იყენებდა, როგორც შეშას, სანამ იწვოდა, სჭირდებოდა. აქედან „ტორპედოში“ მოვხვდი, ივანოვთან. თავიდან ყველაფერი კარგად აეწყო, მაგრამ „მეტალისტთან“ სათასო მატჩმა საქმე უკუღმა შემიტრიალა. ამ ფინალური შეხვედრის შესახებ ბევრი რამ ითქვა კულისებში. თქვენამდე ის ამბავი ვერც ჩამოაღწევდა, რომ ამ თამაშის გაყიდვა მე დამაბრალეს. სინამდვილეში კი სხვაგვარად იყო: იაკუბოვსკიმ ბურთი რომ ჩამოაწოდა, ჩემს უკან აჯიოევი იდგა. ვიფიქრე, ხელს გავიწვდენ, ჩემს გარშემო სივრცე რომ ავითვისო და აჯიოევსაც ხელი შევუშალო-მეთქი, ბურთი კი დაეშვა და ხელზე მომხვდა. ჩემმა კარის მეზობელმა როსტოვში, არბიტრმა ტიმოშენკომ პენალტი დანიშნა. ძლიერ განვიცადე. სავიჩევი და შირინბეკოვი მაწყნარებდნენ, მაგრამ ივანოვი მაინც უმკაცრესად მომექცა და გუნდიდან გამიშვა. მერე იყო „დინამო“, მერე კი... მერე სადაც მოვხვდი, თქვენც კარგად იცით. კოშმარულია ჩემთვის იმის გახსენებაც, როგორ მომტეხა ქურავლიოვმა ფეხი.

**— ქართველების შესახებ ფინელებს ალბათ თქვენზე უკეთესი ინფორმატორი არც ეყოლებოდათ.**

— იცით, როგორ ეშინოდათ? კიდევ კარგი, შინ რომ ვთამაშობთ, თორემ იმ დასაკარგავში რა ჩავა, იქ ხომ ომიაო და ასეთები. მე კი ვარწმუნებდი, ნეტავ საქართველოში მივდიოდეთ, თქვენ არ იცით, ქართველები რა თბილი და სტუმართმოყვარე ხალხია-მეთქი.

**ვახტანგ ბზიკაძე**



ენ ავანტ გინგამი

დაარსდა: 1912 წელს

პრეზიდენტი: [illegible]

მწვრთნელი: ფრანსის სმერეცკი

სტადიონი: „რუდურო“ (18 000)

## ყველაზე პროგრესული

„კოლხეთის“ ყველა მეტოქეს ინტერტოტოს თასზე, ბუქარესტის „დინამოს“ გარდა, ჯგუფიდან ჯგუფში გადასვლისას თავს რაღაც ფარცაგი გადახდენია: იუგოსლავთა აღზევება რამაც განაპირობა, ამაზე უკვე მოგახსენეთ, ფინელებზეც გაუწყეთ, ერთხელ რომ გავარდნენ და მეორედ იგივეს გადასასვლელ ტურნირშიღა გადაურჩნენ. დღევანდელი „სარბიელის“ „სტუმარს“, საფრანგეთის წინა ჩემპიონატის დებიუტანტ „გინგამს“ თითქოსდა ყველაფერი წესრიგში ჰქონდა. უძლიერესთა რიგებში თამაშის უფლებაც ალალად მოიპოვა, მაგრამ... იყო ერთი „მაგრამ“, რაც სიტუაციას ცვლიდა, თუმცა კი ჩვენს მეტოქეს არ ეხებოდა. მექრთამეობაში მხილებულ „ოლიმპიკს“ ჩემპიონობა რომ ჩამოართვეს და ქვემო ლიგაში ჩამოაქვეითეს, ეს გეხსომებათ. წელს მარსელის გუნდმა I დივიზიონის საგზური მოიპოვა, მაგრამ მან ეს შარშანაც გააკეთა, თუმცა მაშინ შარად მოსდევს ფინანსურ საკითხთა მოუგვარებლობა და ისევ II დივიზიონში დასტოვეს. სწორედ ამ წელს იყო, „გინგამი“ რომ I დივიზიონში გადმოვიდა. იგი 3 ქულით ჩამორჩა „ოლიმპიკს“, მაგრამ „გენიონს“ ერთით გაუსწრო და ამ უკანასკნელთან ერთად საფრანგეთის ყველაზე პრესტიჟულ დივიზიონში გადავიდა. თუკი „გენიონი“ ერთი სეზონის შემდეგ კვლავ მეორეჯგუფელთა კომპანიას შეუერთდა, „გინგამი“ მეათე ადგილზე გავიდა და ამით სეზონის ყველაზე პროგრესული გუნდის „წოდებაც“ დაიმსახურა.

„გინგამზე“ არ ითქმის, მთელი სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარაო. დაკავებული მეათე ადგილიც ამაზე მეტყველებს, მაგრამ მან არაერთი გუნდი გაამწარა, განსაკუთრებით კი ლიდერები. პირველ სამეულში გასულ გუნდებთან „გინგამმა“ მხოლოდ ერთხელ წააგო, ისიც ბრინჯაოსან „მონაკოსთან“. ჩემპიონს „ოსერსა“ და თასების თასის მფლობელ პსჟ-ს კი სისხლი გაუშრო. „სენ-ჟერმენს“ ორჯერ დაუზავდა, „ოსერსა“ და „მონაკოს“ ერთხელ და ამ სეზონში დუბლის გამკეთებელს გასვლაზე მარცხიც აწვნია. ეს პირველ წრეში იყო, მეორედ კი, ბოლოსწინა ტურში, „ოსერი“ ფრეს დააჯერა, თუმცა მას ესეც ეყო საჩემპიონოდ. საერთოდ, ჩვენი მეტოქე ფრეების მოყვარული გუნდია. გასულ სეზონში 14 შეხვედრა დაამთავრა ფრედ, წინაში, II დივიზიონში ყოფნისას კი 12-ჯერ დაიყაბულა ყაიმზე მეტოქე. გასულ ჩემპიონატში მხოლოდ 8 გუნდს ვერ დააგემოვნებინა ფრე, დანარჩენ 12-ს კი ერთხელ მაინც მშვიდობიანად დასცილდა. „გინგამს“ მაინცდამაინც ბევრი არც გაუტანია და არც გაუშვია. ჩემპიონატი ერთბურთიანი სხვაობით ჩაათავა — 34:33. სულ ხუთჯერ წააგო დიდი ანგარიშით და 3-ჯერ მოიგო. სამზე მეტი ბურთი კი ერთ თამაშში თავად არ გაუტანია, გაშვებით კი ერთად-ერთხელ, სენტ-ეტიენთან გაუშვა, როცა 4:0 დამარცხდა. „გინგამს“ შინ თამაში, ეტყობა, კარგად აქვს დაცდილი. იგი „ლანსთან“ და „ლიონთან“ ერთად ერთ-ერთი იყო იმ სამთაგან, რომელთაც შინ ერთადერთხელ წააგეს.

ამ წარმატებათა სულისჩამდგმელნი კლუბის ბომბარდირები რუკსალი (9 გოლი), სენ-ჟერმენელყოფილი გრაველენი (7) და კარნო (6) გახლდნენ. მოპოვებულის შემნარჩუნებელი კი სხვებთან ერთად რუმინეთის ნაკრების მცველი გეორგ მიჰალიც ყოფილა.

გასაკვირი აღარ უნდა იყოს, რად ითამაშეს ფრანგებმა ფინეთში ფრედ, მაგრამ მაინც ხომ უნდა მიეღწიათ ჩვენებზე ბევრად უკეთესი შედეგისთვის. მიზეზი ის ყოფილა, რომ „გინგამი“ ფინელებთან თამაშამდე ერთი კვირით ადრე შეკრებილა და წესიერად მომზადებაც ვერ მოუსწრია. ისე კი, თავი ისე დაუჭერია, როგორც სუპერგუნდს შეშვენის. ქალაქის სასტუმროზე უარი უთქვამს და ერთსართულიან შეუხედავ შენობაში, იაკობსტადის შემოგარენში დაბინავებულა. ასე რომ, პერსონალური მზარეულის მიერ მომზადებული კერძები ამ შუა ტყეში, ადგილობრივი ფაუნის გარემოცვაში უგემიათ, მაგრამ რა...

ვერ გეტყვით, მოჰყავთ თუ არა ფრანგებს ჩვენსკენ თავიანთი შეფ-მზარეული. ისე, ფოთში რომ ბაყაყებია...

# ტარიელ ჩაჩუა უარყოფს სამტრედიის დაშლას



ტარიელ ჩაჩუა

სამტრედიელთა საპატიო პრეზიდენტის ტარიელ ჩაჩუას ნახვა ამ ბოლო დროს ძნელი საქმე შეიქმნა. გუნდის ყოფილ პრეზიდენტს პარლამენტის დეპუტატად არჩევის კვალდაკვალ საქმეებიც მოუმრავლდა. ამიტომ ჩემს მიერ დიდი ხნის „ძებნილი" ტარიელ ჩაჩუა შემთხვევით რომ დავინახე, გამეხარდა, მოვიკითხე და მალე საქმეზეც გადავედი. რომ ვუთხარი, შარშანდელი გუნდიდან ლანდიღაა დარჩენილი-მეთქი, არ დამეთანხმა. გულნატკენი დარჩა.

— გუნდში ჩემი მისვლის პირველივე დღიდან დაიწყო „სამტრედიის" გარშემო აჟიოტაჟი. ბრალად მდებდნენ, ფეხბურთელები დაიჩაგრნენ და შეპირებული თანხა ვერ მიიღესო. დამისახელეთ თუნდაც ერთ-ერთი მათგანი. ჯიშკარიანია დაჩაგრული, ცომაია, გუჩუა თუ სხვა ვინმე?

ყველამ მიიღო დაპირებული თანხა. ცოტა არ იყოს, საწყენია ასეთი ბრალდებების მოსმენა, მაშინ, როდესაც მასწავლებლები 7-10 ლარს ვერ იღებენ. ფეხბურთელებმა ხომ უზარმაზარი თანხები, თუნდაც დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიიღეს. რომ ბრძანებთ, ფეხბურთელები წავიდნენო, ეს მთლად ასე არ გახლავთ, ოფიციალურად მხოლოდ გოგიაშვილი გადავიდა „ქუჩუკინაში". ახლა ჩხაიძე და ჯელაძე აპირებენ „დინამოში" გადასვლას, ეთიკის ელემენტარული ნორმების დარღვევით: არც უთქვამთ, სხვაგან მივდივართო. წასვლის თაობაზე არც ისინი მოსულან ჩემთან და არც სხვა ვინმე.

**— კი მაგრამ, ჩხაიძეს და ჯელაძეს ხომ გაუვიდათ „სამტრედიასთან" კონტრაქტის ვადა?**

— კონტრაქტი კი დაუმთავრდათ, მაგრამ უეფას მიერ დადგენილია ფეხბურთელის გუნდიდან გუნდში გადასვლის ცივილიზებული ფორმა. საქართველოში მას, რატომღაც, მაინცდამაინც დიდად ანგარიშს არ უწევენ. საკითხავია, ფიფას და უეფას წესები ჩვენ არ გვეხება? ნებისმიერი პრეზიდენტი ჩემს ადგილას იგივეს იტყოდა.

**— მართალია, რომ გია ჩხაიძის „დინამოში" გადასვლაში 5 000 დოლარს ითხოვთ?**

— მართალია, ბოსმანის საქმემ გუნდებს ამის უფლება წაართვა, მაგრამ ისევ საერთაშორისო სატრანსფერო წესებს დავეყრდნობი. ამ წესების თანახმად მოთამაშის ყოფილმა გუნდმა მის გადასვლაში გარკვეული ფორმულით გარკვეული თანხა უნდა მიიღოს.

**— მოდით, პირდაპირ ვთქვათ. როგორი საწყენიც არ უნდა იყოს თქვენთვის, ფეხბურთელთა უმრავლესობას „სამტრედიაში" გადასვლაზე საუბარიც აღარ სურთ. გაჩნდა უნდობლობის მომენტი. თქვენი ძველი ფეხბურთელებისგან მსმენია, სამტრედიაში აღარ დავბრუნდებითო...**

— ამის მიზეზი უნდობლობა კი არა, ბევრი მოთამაშის უმადურობაა. უკვე ვთქვი და კიდევ ვიმეორებ — დამისახელეთ თუნდაც ერთი ფეხბურთელი, რომელსაც შეპირებული თანხა არ მიეღოს. თანაც, აქ უზარმაზარ თანხაზეა საუბარი. ზოგი ასეთ თანხაზე მთელი ცხოვრების მანძილზე ვერც კი იოცნებებს. ფულსაც იღებენ, გუნდიდანაც მიდიან და ჩემით მაინც უკმაყოფილონი რჩებიან. ისე, ჩემი ბრალიც არის. მეორე წრეში რამდენი ვარჯიშიც გაუცდენიათ, იმდენჯერ ფულადი ჯარიმით რომ დამედო, ახლა საპრეტენზიოც აღარ ექნებოდათ. ელემენტარული რამ, რაც მოეთხოვებოდათ — ვარჯიშებზე კეთილსინდისიერი დასწრება, იმასაც არ აკეთებდნენ. ეს განსაკუთრებით დოლაბერიძეზე ითქმის, ახლა კი აქეთ მიყენებს პრეტენზიებს. სხვათა შორის, უკვე შევუდექით ვარჯიშებს, გუნდიც კომპლექტდება, დოლაბერიძე კი განაცხადში ვერ მოხვდა, ჩვენ იგი ტრანსფერზე დავაყენეთ. ასე ელის ბევრს, ვისაც ვარჯიშით თავი არ შეუწუხებია.

**— ვინ ვარჯიშობს ახლა „სამტრედიაში", რა ცვლილებებია გუნდში — ვინ წავიდა, ვინ მოვიდა?**

— თქვენ რომ ამბობთ, ფეხბურთელებს „სამტრედიის" გაგონებაც არ უნდათო, ასე არ არის. თავად მოდიან და გვთხოვენ გუნდში ჩარიცხვას. თანაც, ამ ბოლო დროს ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა — რაიონის გამგებელი და სამტრედიელი საქმოსნები მხარში ამოგვიდგნენ. დამიჯერეთ, ახალი სეზონიდან „სამტრედია" კვლავ ძლიერი გუნდი იქნება. შარშან ფინანსური კრიზისი არ გვაძლევდა საშველს და ევროთასებზეც ამიტომ ვერ გავედით. მაგრამ ახალ სეზონში ყველაფერი სხვაგვარად იქნება. უკვე გადაწყდა, რომ მეკარე გია ჭანტურია ჩვენთან ითამაშებს. გუნდში დარჩა ხვადაგიანი, დიდი იმედი მაქვს, რომ გიორგი დარასელიას კვლავ ჩამოვიყვანთ. გარდა ამისა, სურვილი გვაქვს, „სამტრედიაში" „მეტალურგისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი მამუკა ბუცურეიშვილი ვიხილოთ. თვალი ყოფილ „შევარდნელ" ედიშერ ალადაშვილსაც დავადგით.

**— შევიტყვე, დარასელია სიონის მოეწონა და „ლოკომოტივში" ითამაშებსო...**

— დარასელიას ჩვენთან ოფიციალურად კავშირი არ გაუწყვეტია, ისევე, როგორც ამაშუკელსა და ფანჩულიძეს. ისინი ამჟამად რუსეთში იმყოფებიან გასინჯვაზე. ფანჩულიძე „მარგვეთს" ვთხოვეთ უეფას თასის საკვალიფიკაციო ტურნირისათვის, მაგრამ მან რატომღაც რუსეთში წასვლა ამჯობინა.

**— ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ამასწინდელ ინტერვიუში კახა ელაშვილმა თქვა, რომ „სამტრედია" ევროპაში გარკვეული ძალების „ხელშეწყობით" ვერ მოხვდაო. აქ იგი ფეხბურთის ფედერაციას არ გულისხმობდა. როგორ ფიქრობთ, რამ შეგიშალათ ხელი?**

— ისევ და ისევ ჩვენმა უვარგისობამ. ფეხბურთელები რომ ვარჯიშებს აცდენენ, იქ რომელ წარმატებაზე შეიძლება იყოს საუბარი? თანაც უკვე ვთქვი, ფინანსურმა კრიზისმა რთულ მდგომარეობაში ჩაგვაგდო. ეს ფაქტორები რომ არა, ვფიქრობ, „სამტრედია" ევროთასებზე გავიდოდა.

**— თავის დროზე საფეხბურთო კულისებში „სამტრედიის" სავარაუდო მწვრთნელად რეზო ძოძუაშვილს მიიჩნევდნენ. ახლა ნიკა ამირეჯიბის გვარიც დაასახელეს...**

— ეს მხოლოდ მოსაზრება იყო. გუნდს კი ისევ კახა ელაშვილი ავარჯიშებს. არ შეიძლება დამსახურება დავუკარგოთ კაცს, რომელიც თან გადაყვა გუნდს.

**— წარმოიდგინეთ, თითქოს დროის მანქანით წარსულში, 1993 წელში დაბრუნდით. იმ დროს, როდესაც გუნდში მიხვედით. რომელ ნაბიჯს არ გაიმეორებდით?**

— ცოტა არ იყოს, ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. რა თქმა უნდა, შეცდომები მქონდა, მაგრამ ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამოც. ფეხბურთელების აყვანისას უფრო მეტ დაკვირვებას გამოვიჩენდი. უამრავმა გარეშე ფაქტორმაც შემიშალა ხელი; რომ არა ისინი, ამ კითხვას არც დამისვამდით. არა მგონია, ევროპაში გასულ გუნდებზე ნაკლებად ვიმსახურებდით საპრიზო სამეულში მოხვედრას, თუმცა ეს უკვე წარსულია და წარსულს თუ დავუბრუნდებით, მხოლოდ იმიტომ, რომ შეცდომები გავაანალიზოთ. ეს არის ყველაზე მთავარი. ახალ სეზონს, უკვე აღვნიშნე, ყველაფრის მიუხედავად მაინც იმედით შევყურებთ.

ერთი რამ რომ არ ვთქვა, არ შემიძლია, რადგან ძალიან მტკენს გულს: პრესაში ერთი და იგივე შინაარსის პუბლიკაციები სჭარბობს — „სამტრედია" იშლება, ფეხბურთელებს ფულს არ უხდიან, ფეხბურთელები გარბიან და ასე შემდეგ. კი მაგრამ, სხვაგან უკეთესი ვითარებაა? ჭკუას არავის ვარიგებ, უბრალოდ, გთხოვთ მეტი დაკვირვება გამოიჩინოთ ამ დროს, ობიექტურობის დაცვა თუ გსურთ. აბა, საქართველოში რომელი გუნდია, რომლის მოთამაშეებს უცხოეთში წასვლაზე არ ეჭიროთ თვალი? ნუთუ ყველგან ყველაფერი წესრიგშია? დღეს ქართულ ფეხბურთს უჭირს, უპირველესად — ფინანსურად და ეს უნდა გაითვალისწინოთ.

**მერაბ მამულაშვილი**



ჩელემ ბურთს ჰკოცა და–

ალექსანდრე ქოთოლაშვილის ფოტო

# როგორ ურტყამდა ჩელე პენალტებს

## სახელმძღვანელო მოქმედი ფეხბურთელებისათვის

ამ ცოტა ხნის წინ ფეხბურთის ფედერაციაში შემთხვევით რეზო ჩელებაძე ვნახე, ნოდარ ახალკაცს ელოდებოდა, მე კი ერთ-ერთი ფეხბურთელი უნდა მენახა. ამ ლოდინში დიდხანს ვისაუბრეთ, აქეთურიც ვთქვით, იქითურიც. ისეთ პიროვნებას, როგორიც ჩელებაძეა, გასახსენებელს რა გამოულევს. საინტერესო და შესანიშნავი მოსაუბრეც გამოდგა. საუბარში თავისი გატანილი პენალტებიც ახსენა. უცებ მომაგონდა, რომ დიდი ხნის წინ ჩელებაძესთან პენალტების შესრულების ოსტატობაზე მსურდა ინტერვიუს მომზადება. მაგრამ მერე გადამავიწყდა და ახლა თავად უნებლიედ გამახსენა. ამ გახსენებამ მეხსიერებიდან ამოატივტივა რეზო ჩელებაძის უაღრესად ლამაზად და გონივრულად შესრულებული პენალტები, მოტყუებულ მეკარეთა გაოცებული სახეები და მაყურებელთა აღტაცებული შეძახილები. ახლაც დიდი სიამოვნებით გაიხსენა თავისი საფეხბურთო კარიერის წლები.

ამ ათიოდე წლის წინ ჩელებაძე საქართველოს ტელევიზიის I არხის გადაცემა „საფეხბურთო მიმოხილვაში" მაყურებელს ვლადიკავკაზის „სპარტაკის" კარში გატანილ თავის ორ პენალტზე მოუთხრობდა. (მაშინ იგი ბათუმში თამაშობდა და ის შეხვედრა ბათუმელმა ფეხბურთელებმა სწორედ ჩელებაძის ორი პენალტის წყალობით 2:1 მოიგეს). აშინ მან ორჯერ მოატყუა მეკარე. ახლაც გავახსენე ის თამაში და გატანილი პენალტები.

— პირველი პენალტის დარტყმის წინ დავინახე, რომ მეკარე ტანის მოძრაობით ცდილობდა ჩემს გადაწყვეტილებაზე ემოქმედა. ამ დროს უკვე ნათელია, რომ მეკარე ერთ-ერთ კუთხეში გადახტომაზე ფიქრობს. ეს პირველი თერთმეტმეტრიანი იყო და აღარ გავრისკე, კარგად დავინახე, რომელ კუთხეში ხტებოდა და მეორე მხარეს დავურტყი. მეორე პენალტზეც ისევე მოქმედებდა — მარჯვნივ, ან მარცხნივ გადახტომას აპირებდა. დარტყმისას მისთვის არ შემიხედავს, პირდაპირ თავზე გადავუგდე. არც შევმცდარვარ. მეკარე ლამაზად დაწვა, ხელფეხიც გაიქნია, ბურთი კი მშვიდად შევიდა კარში. გამწარებულმა ბურთი ისე დაარტყა, კინაღამ კეფაში მომხვდა.

**— პენალტებზე საგანგებოდ ვარჯიშობდით?**

— რა თქმა უნდა. ეს დათო გოგიას დამსახურება იყო. მან ერთხელ მითხრა — პენალტების კარგად დარტყმას ბევრი მუშაობა სჭირდება, ნიჭი გაქვს, შენნაირი შემსრულებელი იშვიათად მინახავს და ამაზე იმუშავეო. თავად მეხმარებოდა — კარში იდგა, მე კი დღეში 50 მაინც ვურტყამდი. ასე რომ, თითქმის ავტომატურობამდე დამახვეწინა პენალტების შესრულების ტექნიკა. დათო გოგიასნაირი მეკარის მოტყუება ძალიან ძნელი საქმე იყო, მერე სხვა მეკარესთან უკვე მიადვილდებოდა.

**— რომელ მეკარესთან გიჭირდათ პენალტის დარტყმა?**

— კაცმა რომ თქვას, ვინც აილო, ყველამ შემთხვევით გამოიცნო დარტყმის მიმართულება. ცსკა-ს მეკარე ასტაპოვსკიმ ორჯერ გამამწარა. თავდაჯერებულებამ დამღუპა — ვიფიქრე, რომ გავიტანდი. თანაც, ბურთს ძალა ვერ დავატანე. შესრულებისას აბსოლუტურად მობილიზებული უნდა იყო და გრძნობდე მეკარის მოძრაობას — ის აუცილებლად იხრება ერთ-ერთ კუთხეში, თუ ასე არ მოიქცა, პატარა ძვრას მაინც შენიშნავ.

საერთოდ, ცსკა-ს მეკარეებმა სამჯერ მაჯობეს. ნოვიკოვს რომ ვურტყამდი, მისთვის არ შემიხედია და სადაც დავურტყი, სწორედ იქით გადახტა. ვიჩესლავ ჩანოვმა კი მაშინ მაჯობა, როცა მოედანზე ჯერ კიდევ გაუხურებელი, ორი წუთის შემოსული ვიყავი. მართალია, მოვატყუე, მაგრამ ძლიერად ვერ დავარტყი და ჩანოვმა ფეხით მოიგერია ბურთი. კუიბიშევის (ამჟამინდელი სამარის) „კრილია სოვეტოვის" მეკარეს კი წყალი დაეხმარა. II ჯგუფში გადასასვლელ შეხვედრაში ბათუმელები გადამწყვეტ მატჩში კუიბიშეველებს ვეთამაშებოდით. ბურთი ორჯერ გავასწორე, მაგრამ წყალს მიჰქონდა. მეკარემ კუთხე გამოიცნო და მაჯობა. საერთოდ, მეკარე კუთხეს გამოიცნობს, ბურთის აღების დიდი შანსი აქვს.

**— თქვენთვის ყველაზე სამახსოვრო რომელი პენალტი იყო?**

— ის პენალტი მარტო ჩემთვის კი არა, მთელი საქართველოსთვის სამახსოვრო უნდა იყოს. 1979 წელს თასს მეოთხედფინალში 90-ე წუთზე 0:1 ვაგებდით ტაშკენტის „პახტაკორთან". სწორედ ამ დროს გუცაევის კარში დარტყმული მცველმა ხელით გამოიტანა. დაინიშნა პენალტი და დამთავრდა კიდეც თამაში. მარტო პენალტის დარტყმაღა შეგვეძლო. ჩვეული სურათი იყო — მეკარე ერთ მხარეს გადახტა, მე კი ბურთი მშვიდად გავაგზავნე მეორე კუთხეში. დამატებით დროში მეორე ბურთიც გავიტანე და „დინამომ" თასისათვის ბრძოლა გააგრძელა, თასიც აიღო და ევროპის თასის მფლობელთა თასიც დაისაკუთრა. მე რომ ის პენალტი გამეფუჭებინა, საქართველოს 13 მაისი არ ექნებოდა. დავერც ვერავინ გახდებოდა „ზასლუჟენნი". მე კი ყველას დავავიწყდი (იცინის).

იმ წლევანდელი თასის გათამაშებაში ცხრა ბურთი გავიტანე ეს ჩემს გარდა მხოლოდ ბობროვმა შეძლო.

**— პენალტების დარტყმისას რას აქცევდით ყურადღებას?**

— მეკარის მოძრაობას. ბურთს ფაქტიურად არც ვუყურებდი. გამორბენისას იგი თავისთავად ექცევა თვალის არეში. მოკლე გამორბენს ვაკეთებდი. ჯერ ვაკოცებდი და ვდებდი ბურთს და უკან ვიხევდი, ველოდებოდი, მსაჯი და მეკარე როდის მოემზადებოდნენ და სასტვენის ხმაზე, ერთ მეტრშიც რომ ვყოფილიყავი ბურთიდან, მოძრაობას ვწყვეტდი, მეკარე უკვე იბნეოდა, ფიქრის საშუალება აღარ რჩებოდა. ეს წინასწარ მქონდა გათვლილი.

**— მახსოვს, დარტყმისას პაუზას აკეთებდით. სიფრთხილე იყო საჭირო, რომ მსაჯს ყვითელი ბარათი არ ეჩვენებინა. ამას როგორ ახერხებდით?**

— ვარჯიშის წყალობით. დარტყმისას ფეხის მოძრაობის დროს პაუზას იმიტომ ვაკეთებდი, რომ მეკარეს მოძრაობა დაეწყო, მე კი ეს ყველაფერი წამის მეასედში დამენახა და გამეაზრებინა, როგორ, რომელ კუთხეში დამერტყა. ზოგჯერ მეკარე ნახტომს მაჩწრებდა და პაუზა აღარ იყო საჭირო.

**— თუ აღმოჩენილხართ ისეთი გონიერი მეკარის პირისპირ, რომელსაც აქეთ მოუტყუებიხართ?**

— ხომ ვთქვი, თუ ვინმეს აუღია, ისევ ჩემი თავდაჯერებულობის და არა მეკარის სიეშმაკის გამო. პენალტისტებს ვურჩევ — დარტყმისას არც ერთი წამით ბურთს არ უყურონ, სჯობს, მეკარის მოძრაობა დააფიქსირონ და არ წააგებენ. ბურთი მაინც ჩანს და ფეხს არ აცილებენ.

**— ზოგი პენალტს ძლიერად კარის ზედა ძელთან ურტყამს...**

— ასე არასდროს დამირტყამს. ვთვლი, რომ ასეთი პენალტი უჭკუოდაა შესრულებული, თერთმეტმეტრიანის დარტყმა ხელოვნებაა. მასში აზრი და სილამაზე უნდა ჩანდეს. კარგ ფეხბურთელად მიმაჩნდა შოტლანდიელთა ამჟამინდელი კაპიტანი, მაგრამ სანამ ხიმენს დაურტყამდა პენალტს, ინგლისელი უკვე დაწოლილი იყო, თანაც, მთელი ძალით მოარტყა ბურთი. მას ოდნავ მაინც რომ აეწია თავი, თავისუფლად გაიტანდა.

**— თქვენი აზრით, მეკარე უფრო ნერვიულობს თუ დამრტყმელი?**

— სხვისი რა გითხრათ და მე ძალიან ვნერვიულობდი, მიუხედავად იმისა, რომ ყველას ცივსისხლიანი ვეგონე. ბურთს ორჯერ ვასწორებდი და მეკარის ნერვებზე ვთამაშობდი. მეკარის მდგომარეობისა კი რა გითხრათ. ძნელია მისი განცდების ბოლომდე შეცნობა.

ისე, არც ერთი მეკარის არ მეშინოდა — ჩემთვის ყველა ერთი იყო.

**— რაიმე კურიოზს ხომ არ გაიხსენებდით?**

— თავის დროზე ბრაზილიის „ფლამენგოს" ვეთამაშებოდით. სადაც ზიკო, ჟუნიორი, ნუნიესი თამაშობდნენ. დიდი სიცხე იყო და თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე ახალკაცმა შემცვალა. თამაში ფრედ 2:2 დასრულდა. დაინიშნა პენალტების სერია. ვიტალი დარასელიამ და გიორგი ჭილიამ ვერ გაიტანეს და წავაგეთ. დილის 5 საათამდე ვასწავლიდი, თუ როგორ უნდა დაერტყათ პენალტები. მეორე დღეს მესამე ადგილისთვის ესპანეთის „კადისს" ვეთამაშებოდით. ესეც ფრედ — 1:1 დამთავრდა. გოლი მე გავიტანე. კიდევ დაინიშნა პენალტების სერია. როცა ჩემი ჯერი დადგა, ბიჭებს ვუთხარი — ახლა უყურეთ, როგორ უნდა პენალტების შესრულება-მეთქი. მეკარე არც გაქანებულა, ისე აიღო ხელში ბურთი. სხვას ვასწავლიდი და მე თვითონ შევცდი.

**— ახლა ბათუმში შტატიანი პენალტისტი ვინ გყავთ?**

— ამირან მუჯირი. ისიც გონიერად ურტყამს. ცოტას ორივე მოვინდომებთ და მასაც ავტომატურობამდე დავახვეწინებ.

**— ერთხელ ნიკა ტოგონიძემ მიამბო, როგორ დაწიძლავდით პენალტების დარტყმაზე.**

— მე ტოგონიძის მსგავსი მეკარე არ მინახავს — მეკარე, რომელიც მხოლოდ ბურთს უყურებს. დამრტყმელს არასოდეს არ ასწრებს მოძრაობას. თავიდან ერთ პენალტზე დავნიძლავდით და გავუტანე. მაგრამ ამაზე არ გავჩერებულვართ, კიდევ დავარტყი და, ჩემდა გასაკვირად, ბევრი ამიღო. უკვე სისხარტე მქონდა დაკარგული და ამის ბრალი იყო, თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ ტოგონიძე ერთ-ერთი საუკეთესოა პენალტების მოგერიების საქმეში.

მახსოვს, 1980 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მალმიოში შვედებს 5:1 მოუგო, მაშინ პენალტი გავიტანე. თამაშის შემდეგ შვედების მეკარე მილერი ვნახე. „ფანტასტიკო" — აი, ასე შემიფასა ტალანტი. ასევე შემაქო „ჰამბურგის" ყოფილმა მეკარე რუდი კარგუსმა ვეტერანთა ტურნირზე. პენალტის შემდეგ იგი ტრიბუნიდან ჩამოათრიეს. ბანკეტზე კახი ასათიანი და მე ვისხედით, ამ დროს სასმელებით ხელში კარგუსი მოგვიახლოვდა; მისი აზრი მილერისას დაემთხვა „ჩელებაძე ფანტასტიკ!"

**მერაბ მამულაშვილი**



ალექსანდრე ქოთოლაშვილის ფოტო

1980 წლის 7 აპრილი. „დინამო" — „კაირატი" 3:0. სამივე გოლი რეზო ჩელებაძემ გაიტანა, მათ შორის ერთი პენალტით

## ფეხბურთის რუკასთან



იტალიელი რუჯერო რიციტელი „ტორინოდან" მიუნხენის „ბაიერნში" გადადის. 28 წლის ფეხბურთელში გერმანულმა კლუბმა 2,6 მილიონი დოლარი გადაიხადა. კონტრაქტი ორწლიანია. „რიციტელი იურგენ კლინსმანისთვის იდეალური მეწყვილე იქნება" — თქვა „ბაიერნის" მწვთრნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ, რომელიც ერთწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ ბავარიელებს ჩაუდგა სათავეში. რიციტელის იტალიის ნაკრებში ცხრაჯერ უთამაშია.

ინგლისელმა იან რაიტმა, რომელიც მაისში უნგრეთის ნაკრებთან შეხვედრაში სერიოზულად დაშავდა და ევროპის ჩემპიონატი გამოტოვა, ტრავმა მოიშუშა. მან ახალი, ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ლივერპულთან". — ბოლოხანს სირბილი დავიწყე და მუხლი არ მტკენია — კმაყოფილი იყო 32 წლის ნახევარმცველი.

შვეიცარიელებმა ჩემპიონატი დაიწყეს. პირველი ტური: არაუ-ბაზელი 0:1, ლოზანა — იანგ ბოიზი 3:2, ლუგანო — სენტ გალენი 0:0, ქსამაქსი — სერვეტი 2:1, სიონი — გრასჰოპერი 1:1, ციურიხი — ლუცერნი 1:1.

ირლანდიის მთავრობამ დაამტკიცა ინგლისელებთან ორმხრივი ხელშეკრულების პროექტი, რომლის მიხედვითაც საფეხბურთო ხულიგნები, რომლებიც ინგლისის ან უელსის სასამართლოებმა გაასამართლეს, დაუყოვნებლივ უნდა დაიჭირონ და ბრიტანეთის პოლიციას გადასცენ. ეს დადგენილება 1 აგვისტოდან შევა ძალაში. მის შექმნაზე მას მერე დაიწყეს ფიქრი, რაც 1995 წლის თებერვალში დუბლინის „ლენსდაუნ როუდზე" ირლანდიისა და ინგლისის ნაკრებების ამხანაგური შეხვედრა მეტოქეთა ქომაგების ჩხუბმა ჩაშალა.

ტუნისის „ესპერანსს" ახალი მწვრთნელი ჰყავს. იგია „იუვენტუსის" ყოფილი ხელმძღვანელი ჯიჯი მაიფრედი. ხელშეკრულება ორწლიანია. მაიფრედიმ სახელი „ბოლონიას" სერია ბ-ში გადაყვანით გაითქვა, შემდეგ 1990-91 წლებში „იუვეს" წვრთნიდა. — აფრიკა იმიტომ ავირჩიე, რომ იქ ფეხბურთი მაღალ დონეზეა და მოთამაშეებსაც სწავლა სწყურიათ — თქვა მწვრთნელმა.

ნიგერიელმა ჯორჯ ფინიდიმ თანხმობა განაცხადა 7,6 მილიონ დოლარად ამსტერდამის „აიაქსიდან" ესპანეთს „რეალ ბეტისში" გადასვლაზე. კონტრაქტი პლუს სამ წლიანია.

ხორვატიის ნაკრების მოთამაშე ნიკოლა იერკანი ესპანეთის „რეალ ოვიედოდან" ინგლისის „ნოტინგემ ფორესტში" გადადის. კონტრაქტი სამწლიანია.

ესპანეთის ფეხბურთის თავკაცებმა დაადგინეს, რომ მათ კლუბებს ნება ეძლევათ იყოლიონ ექვსი ევროკავშირის გარეთ მცხოვრები ფეხბურთელი და ამათგან ერთბაშად ოთხი ათამაშონ. ამ გადაწყვეტილებას წინ თვეობით კამათი უძღოდა. დაობდნენ ფედერაცია და ლიგა, რომელთაც აგრეთვე დაადგინეს, რომ განაცხადში გუნდებს შეეძლებათ არა ძველებურად 22, არამედ 25 ფეხბურთელი იყოლიონ.

ფრანგი ვარსკვლავი დავიდ ჟინოლა მზადაა „ნიუკასლი" მიატოვოს და 4 მილიონ გირვანქად გადავიდეს „ბარსელონაში", რომელსაც ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცი ბობი რობსონი წვრთნის.

პორტუგალიის ნაკრების წევრი კარლოს სეკრეტარიუ „პორტუდან" მადრიდის „რეალში" გადავიდა. ესპანელებმა მასში 2 მილიონი დოლარი გადაიხადეს. სეკრეტარიუ „რეალის" ახალი მწვრთნელის ფაბიო კაპელოს მეექვსე შენაძენია ზეედორფის, შუკერის, კარლუშის, ალფონსოს და მიატოვიჩის შემდეგ.

შვეიცარიაში უეფამ გადაწყვიტა, რომ ჩემპიონთა ლიგის 16-დან 24 გუნდამდე გაზრდა სამი წლით შეჩერდება, თუ ევროპული კლუბების ისედაც გადატვირთულ კალენდარში დამატებითი მატჩების ადგილი ვერ გამოინახა. ლიგის გაზრდა კი 1997-98 წლების სეზონისთვის იყო დაგეგმილი და აპირებდნენ ოთხი ექვსგუნდიანი ჯგუფის შექმნას.

ინგლისის ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" იყიდა ორი ნორვეგიელი ფეხბურთელი რონი იონსენი და ოლე გუნარ სოლსკიარი, მცველი იონსენი ხუთი წლით „ბეშიქთაშისგან" შეიძინეს 1,87 მილიონ დოლარად, თავდამსხმელი სოლსკიარი კი ნორვეგიული „მოლდედან" 2,3 მილიონად გადადის.

არგენტინელმა ვირტუოზმა დიეგო მარადონამ განაცხადა, რომ თუკი სთხოვენ, ეროვნულ ნაკრებში თამაშზე უარს არ იტყვის. — ამ წუთას თავს იმდენად არგენტინელად ვგრძნობ, რომ თუ პასარელა შემომთავაზებს, ვითამაშებ. მსურს ნაკრებში დავბრუნდე, ხალხიც ამას მთხოვს. პასარელამ ადრე განაცხადა, ახალი ხალხი მჭირდებაო, მაგრამ ზოგ ბებერსაც შეუძლია რაღაც. — თქვა მარადონამ.



დიეგომ თქვა, ჯანზე ვარ და ნაკრებში დამაბრუნეთო

ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან გაანთავისუფლეს ცნობილი დიმიტარ პენევი. მასვე მიაყოლეს მისი ძმისშვილი ლუბო, რომლის შესახებაც გულშემატკივრებმა ბევრი მწარე-მწარე თქვეს. მიუხედავად ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ივან სლავკოვის ქებისა, პენევი პრესამ სასტიკად გააკრიტიკა, უპირველესად იმის გამო რომ, თუმც ცუდ ფორმაში იყო, თავის ძმისშვილს ათამაშებდა. სოფიის აეროპორტში კი თვით ლუბომაც არ დაიშურა მავანთა მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვები.

ბრაზილიელი თავდამსხმელი რონალდო, როგორც ჩანს, ჰოლანდიის თასის მფლობელ „ეინდჰოვენს" დასტოვებს და „ბარსელონაში" გადავა, ანაც მილანის „ინტერში". „ეინდჰოვენმა", 1994 წელს „კრუზეიროსგან" 6 მილიონ დოლარად შეძენილ ფეხბურთელში 20 მილიონი მოითხოვა. ითქვა, რომ ჰოლანდიურმა კლუბმა და „ბარსელონამ" პრინციპულ შეთანხმებას უკვე მიაღწიეს, მაგრამ არსებობს ჯენტლმენური სიტყვა „ინტერთანაც". 19 წლის რონალდომ თქვა, რომ სიამოვნებით გადავა „ბარსაში" და დიდი თანამემამულის რომარიოს გზას გაიმეორებს.

შვეიცარიაში დაგეგმილია ოთხთა ტურნირი ადგილობრივი „ციურიხის" „გრასჰოპერის" და ჩემპიონთა და უეფას თასების მფლობელების „იუვენტუსის" და „ბაიერნის" მონაწილეობით. პირველ დღეს, 28 ივლისს, შვეიცარიული გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან, „იუვე" და „ბაიერნი" კი მეორე წყვილს შეადგენენ. მეორე დღეს ფინალი მოეწყობა.

გერმანელმა „უეცარმა მკვლელმა" ოლივერ ბირჰოფმა ახალი ორწლიანი კონტრაქტი დასდო „უდინეზესთან", მაგრამ მითქმა-მოთქმა მისი „იუვენტუსში" შესაძლო გადასვლის შესახებ ჯერ არ დამთავრებულა.

პოლონეთის ნაკრების მეკარე ანჯეი ვოზნაიკი სამი წლით „პორტუში" გადადის. იგი „ბარსელონაში" წასულ ვიტორ ბაიას შეცვლის.

საფრანგეთის ყოფილმა სუპერ-გუნდმა „მარსელმა" მცველ ბერნარ კასონის ნაცვლად ბრაზილიელი ადილსონი შეიძინა. ადილსონმა „გრემიოსთან" ერთად სამხრეთ ამერიკის ლიბერტადორესის თასი მოიპოვა. კლუბის გენერალური მენეჯერის ჟან მიშელ რუსიეს თქმით, მათ მოლაპარაკება აქვთ გერმანიის ნაკრების გოლკიპერ ანდრეას კეპკესთანაც, რომელიც თითქოს „ბარსელონაში" გადადიოდა, მაგრამ ბოლოწამს კატალონიელებმა უარი უთხრეს და მის ნაცვლად პორტუგალიელი ვიტორ ბაია აიყვანეს. „მარსელს" თავისი ძველი მეკარის ფაბიენ ბარტეზის დაბრუნებაც სურს, მაგრამ ბარტეზის ახლანდელი კლუბი „მონაკო", მასში 20 მილიონ ფრანკს ითხოვს.

### მსოფლიოს ჩემპიონატი

FRANCE 98

სამხრეთ ამერიკის შესარჩევი ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლუმბია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ეკვადორი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| ჩილე | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| არგენტინა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ბოლივია | 2 | 1 | 0 | 1 | 7:4 | 3 |
| პარაგვაი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ურუგვაი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| პერუ | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| ვენესუელა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:9 | 1 |

### ინტერტოტოს თასი

INTERTOTO CUP

I ჯგუფი

სტანდარდი — ჰაპოელი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლბორგი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:4 | 6 |
| სტანდარდი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| შტუტგარტი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ჰაპოელი | 3 | 0 | 2 | 1 | 7:8 | 2 |
| კლიფტონვილი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:8 | 1 |

II ჯგუფი

ვერდერი — დიურგარდენსი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლახკი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| ვერდერი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| დიურგარდენსი | 3 | 1 | 0 | 2 | 10:5 | 3 |
| აპოლონი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:11 | 3 |
| ტოფტირი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |

IX ჯგუფი

ჩუკარიჩკი — დაუგავა 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრნავა | 3 | 2 | 1 | 0 | 10:1 | 7 |
| კარლსრუე | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| უნივერსიტატია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| დაუგავა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:10 | 3 |
| ჩუკარიჩკი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

### რუსეთი

მე-16 ტური: ტორპედო — კამაზი 2:1, როსტსელმაში — სპარტაკი 2:4, ზენიტი — კრილია 1:0, ჟემჩუჟინა — ნიჟნი ნოვგოროდი 1:0, ალანია — ტექსტილშჩიკი 2:1, ჩერნომორეცი — ცსკა 2:1, როტორი — ლოკომოტივი 2:1, ურალმაში — დინამო 1:4, ბალტიკა — ლადა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალანია | 17 | 12 | 2 | 3 | 31:14 | 38 |
| როტორი | 16 | 10 | 5 | 1 | 25:9 | 35 |
| სპარტაკი | 16 | 10 | 4 | 2 | 31:12 | 34 |
| დინამო | 16 | 9 | 6 | 1 | 26:9 | 33 |
| ცსკა | 16 | 9 | 4 | 3 | 24:13 | 31 |
| ნოვგოროდი | 16 | 8 | 2 | 6 | 17:21 | 26 |
| ტორპედო | 16 | 6 | 6 | 4 | 20:19 | 24 |
| ლოკომოტივი | 16 | 5 | 7 | 4 | 17:13 | 22 |
| ზენიტი | 16 | 6 | 4 | 6 | 16:15 | 22 |
| კრილია | 16 | 5 | 5 | 6 | 10:12 | 20 |
| როსტსელმაში | 16 | 5 | 4 | 7 | 25:25 | 19 |
| ბალტიკა | 16 | 4 | 7 | 5 | 16:20 | 19 |
| ჟემჩუჟინა | 16 | 5 | 3 | 8 | 14:26 | 18 |
| ჩერნომორეცი | 16 | 3 | 4 | 9 | 15:25 | 13 |
| კამაზი | 17 | 3 | 3 | 11 | 13:25 | 12 |
| ლადა | 16 | 2 | 4 | 10 | 7:25 | 10 |
| ტექსტილშჩიკი | 16 | 1 | 7 | 8 | 8:16 | 10 |
| ურალმაში | 16 | 1 | 5 | 10 | 13:29 | 8 |


იყიდება მე-19 საუკუნის ბოლოს, სამეფო კარის ოსტატ იული ჰენრიხ ციმერმანის მიერ აწყობილი საოჯახო ორღანი.

(CROWN ORGAN)

ფასი 3 500 დოლარი.

ცნობებისათვის დარეკეთ: 39-48-29; 93-16-08.


# გამოუცდელი? მერე რა!

## აუცილებელი არაა ცხენი იყო, ჟოკეი რომ გამოხვიდე

9 ნოემბერს თბილისს ინგლისის ნაკრები ეწვევა. [illegible] და ახალი მწვრთნელი გლენ ჰოდლი, ახალგაზრდა კაცი. ჰოდლი რომ ტერი ვენეიბლზს შეცვლიდა, წინასწარვე ცნობილი იყო. მართალია, ამ გადაწყვეტილებას დიდი ბჭობა უძღოდა წინ, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი „ჩელსის" მოთამაშე-მწვრთნელის სასარგებლოდ გადაწყდა. მას ქვეყნის ეროვნული გუნდი ანდეს, ნაკრები, რომელმაც ორიოდ კვირის წინ ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში ითამაშა, საუცხოო შთაბეჭდილება დასტოვა და რომლისგანაც მთელი ინგლისი უპირობოდ მოითხოვს ერთს — საფრანგეთის საგზურის მოპოვებას.

ცნობილი ინგლისელი საფეხბურთო მწერალი ბრაიან გლენვილი „უორლდ სოკერში" თანამემამულეთა ახალი მწვრთნელის თემას შეეხო. ვფიქრობთ, მისი ნააზრევი ქართველთათვის ერთობ საინტერესო უნდა იყოს.

ბობი რობსონს 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გუნდი რომ მიჰყავდა, იცოდა: თანამდებობიდან შეჯიბრების დამთავრებისთანავე გაათავისუფლებდნენ. ტერი ვენეიბლზს ევროპის ჩემპიონატზე მიჰყავდა ნაკრები და ამანაც იცოდა, რომ გუნდს დასტოვებდა, იცოდა ისიც, რომ მის ნაცვლად გლენ ჰოდლს დანიშნავდნენ. ესე იგი, ინგლისის ნაკრების ვარჯიშებიდან რაღაც პოლემიკური მოიკვეთა.

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ვენეიბლზის დანიშვნა ხუთი წლით დაგვიანებულად მიმაჩნდა და თუ მის საქვეყნოდ ცნობილ პრობლემებსაც გავითვალისწინებთ, სიბრძნისგან მეტისმეტად დაშორებულ ნაბიჯად ვთვლიდი.

ჰოდლის დანიშვნის წინააღმდეგი როდი გახლავართ, თუმცა, ჩემთვის რომ ეკითხათ, უფრო გამოცდილ და ალბათ უფრო მოქნილ გერი ფრენსისს ვამჯობინებდი.

ჰოდლისთვის მეხის დატეხვა, მეტი გამოცდილება რად არ გაქვსო, სისულელე და სასაცილო იქნებოდა. განა რამდენი კლუბი ჰყავდა გაწვრთნილი ფრანც ბეკენბაუერს, დასავლეთ გერმანიის ნაკრები რომ ჩააბარეს? მან კი გუნდი ორჯერ გაიყვანა მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზე და მეორედ მოაგებინა კიდეც. ასეთივე რიტორიკული კითხვა მიშელ პლატინის თაობაზეც შეიძლება დავსვათ. მას ერთი კლუბიც არ ჰყავდა გაწვრთნილი, ფრანგებმა ეროვნული გუნდის ხელმძღვანელად რომ დანიშნეს. მართალია, მას ბეკენბაუერივით დიდი შედეგისთვის არ მიუღწევია, მაგრამ არც სახელი შეირცხვინა.

ჩემი აზრით, ნაკლებ მნიშვნელოვანია, ჰოდლის ფეხბურთელობისდროინდელი კარიერა ღირსეულად დაფასდა თუ არა. მთავარი ისაა, თუ რა კლასის მოთამაშე იყო იგი: ორიგინალური, შემოქმედებითი, ვირტუოზული. ის იმგვარი იყო, წლების წინ ინგლისში ნაკლებად რომ აფასებდნენ.

მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანთა სიაში ვერ ხვდებოდა. სულ ბოლო წამს ჩართეს განაცხადში.

ჰოდლი შემოქმედებითი ფეხბურთის დიდმა გურუმ რონ გრინვუდმა გაანაწყენა ბულგარეთთან ბრწყინვალე დებიუტის შემდეგ „განაწყენება ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია" — თქვა რონმა და გლენი მეისიერად მოიშორა თავიდან. ასე იყო, სანამ ბობი რობსონმა, როგორც იქნა, ყურადღება მიაქცია. რობსონმა მას მთელი წრე შემოატარა. 1985 წელს მარჯვენა ფრთაზე უგული თამაშის შემდეგ, 1986-ში, ამერიკაში, საწვრთნელ შეკრებაზე აქო და ადიდა. არ მეგონა, თუ ვიპოვნიდი ვინმეს, ჯონი ჰეინესს რომ შეედრებოდაო.

ჰოდლს აქვს კარგი იუმორის გრძნობა, მაგრამ როდესაც მის გუნდს საქმე ცუდად მიუდის, იგი შესაძლოა დაღვრემილი და გულდახშული იყოს.

ახლა ტაქტიკაზე. ვენეიბლზი მთელ ფრთაზე მოქმედ, დაცვისკენ დაწეულ გარემარბებს იყენებს, ჰოდლს კი შემტევი განაპირა მცველები ურჩევნია. ასე რომ, ინგლისის ნაკრების იერსახე კვლავ შეიცვლება.

განვავრცობ თემას. მინდა რჩევა ვთქვა: იმისათვის, რომ ნაკრების დონეზე კარგი მწვრთნელი იყო... საჭიროა ნაკრების დონეზე იყო კარგი მწვრთნელი. უფრო ზუსტად, კლუბში ხანგრძლივად გიმუშავია, ცოტა ხანს გიმუშავია თუ საერთოდ არ გიმუშავია, იყავი პროფესიონალი ფეხბურთელი, ნაკრების სახელგანთქმული მოთამაშე თუ სულაც არ გითამაშია, მნიშვნელობა საერთოდ არ აქვს.

ევრო-96-ის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს, იტალიის ნაკრებს სათავეში ედგა არიგო საკი, კაცი, რომელიც იმიტომ გახდა მწვრთნელი, რომ მისი ქალაქის სამოყვარულო გუნდ „ფუსინიანოში" უთხრეს, შენგან ფეხბურთელი არ გამოვაო. ის არც გამხდარა მოთამაშე. სანაცვლოდ კი ერთხელაც შეგვახსენა, რომ: „აუცილებელი არაა ცხენი იყო, ჟოკეი რომ გამოხვიდე".



გლენ ჰოდლი და ტერი ვენეიბლზი

სტენლი მეტიუზს ახლა საუკუნის ლეგენდად იხსენიებენ, მაგრამ წლების მანძილზე იგი ხან აჰყავდათ ნაკრებში, ხან არა. მართლაც, მეტიუზმა ნაკრების წევრის კარიერა მეტისმეტად ახალგაზრდამ, 19 წლისამ დაიწყო, 1934 წელს, „ჰაიბრიზე", იტალიელთა წინააღმდეგ სამახსოვრო მატჩში. „დეილი მეილის" მესვეტე ჯოფრი სიმპსონი კი მას ზოზინსა და ყოყმანში სდებდა ბრალს და აცხადებდა, ამ ბიჭს, ეტყობა, დიდი მატჩებისთვის საჭირო ტემპერამენტი არ აქვსო.

ღმერთო ჩემო!

ომის შემდგომ მეტიუზის ნაცვლად ნაკრების მარჯვენა ფრთაზე ტომ ფინი გამოჰყავდათ, მაგრამ მოგვიანებით მწვრთნელები მიხვდნენ, რომ ცაცია ფინის მარცხნივაც კარგად შეეძლო თამაში და 1947 წელს პორტუგალიასთან ორივე ფეხბურთელი ათამაშეს. ეს მატჩი, სტუმრად, ინგლისელებმა 10:0 მოიგეს. ერთი წლის შემდეგ ამავე წყვილმა ტურინში იტალია გაამწარა — 4:0. მაგრამ 1950 წელს მეტიუზი ბრაზილიაში,

ვიტორიო პოცო, რომელმაც იტალიის ნაკრებთან ორჯერ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა, საშუალო ნიჭის მოყვარული იყო, ტურინის გუნდიდან, მაგრამ როგორც ნაკრების მწვრთნელი, შეუდარებელი გახლდათ. მართალია, მუსოლინის დროს მან დიდი ძალაუფლება იგდო ხელთ, მაგრამ არასდროს ყოფილა ისე უხეში, საკი რომ გახლდათ რობერტო ბაჯოს, ჯანლუკა ვიალის და ჯუზეპე სინიორის მიმართ.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სინიორიმ ბოლოს აღიარა, შევცდი, საკის რომ ვუთხარი 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში, დაცვისკენ დაწეული მარცხენა გარემარბის თამაში არ მინდაო, მაგრამ აღიარებამ არ უშველა. საკიმ ის ევროპის პირველობაზე არ წაიყვანა.

„უორლდ სოკერი"
ივლისი 1996

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბუტიაობას თუ არ გადაჰყვნენ

ფორმულა 1

X ეტაპი
ბრიტანეთის „დიდი პრიზი"

14 ივლისი.
ინგლისი, „სილვერსტოუნი"

ტრასის სიგრძე 5 057 მ.
დისტანცია 61 წრე — 308,477 კმ.
კვალიფიკაციის რეკორდი: მენსელი („უილიამს-რენო" 1992) 1.18.965 (238,252 კმ-სთ)
წრის რეკორდი რბოლისას: ჰილი („უილიამს-რენო 1993) 1.22,515 (228.143 კმ-სთ)
გამარჯვებულის საუკეთესო დრო: ჰილი (1994) 1:30.03,640 (202.143 კმ-სთ)
შარშანდელი შედეგები:
კვალიფიკაცია: ჰილი 1.28,124 (205,28 კმ-სთ)
საუკეთესო წრე რბოლისას: ჰილი 1.29.752 (202,838 კმ-სთ)
გამარჯვებული: ჰერბერტი (ბენეტონ-რენო) 1:34.35,093 (195,682 კმ-სთ)

## ისტორია

ბრიტანეთის „დიდ პრიზს" ჯერ არცერთი ჩემპიონატი არ „გამოუტოვებია". ამ ხნის მანძილზე სამ სხვადასხვა ტრასაზე მოწყობილა: „ეინთრიზე" (1955, 57, 59, 61-62), „ბრენდს ჰეთჩზე" (1964, 66, 68, 70, 72, 74, 76, 78, 80, 82, 84, 86), „სილვერსტოუნზე" (1950-54; 56, 58, 60, 63, 65, 67, 69, 71, 73, 75, 77, 79, 81, 83, 85, 87-95). ყველაზე მეტჯერ 5-5-ჯერ გაუმარჯვიათ: ჯიმი კლარკს („ლოტუსი") 1962-65 და 1967 „ეინთრისა" და „სილვერტოუნზე", ალენ პროსტს 1983 („რენო"), 1985 და 1989 („მაკლარენი"), 1990 („ფერარი"), 1993 („უილიამს-რენო") — ხუთჯერვე „სილვერსტოუნზე".




## საგულისხმო ამბები

ბრიტანელ მრბოლთაგან სტირლინგ მოსი პირველი იყო, შინაური „დიდი პრიზი" რომ მოიგო 1955 წელს.

1965: მეათედ გაიმარჯვა ჯეკი სტიუარტმა.

1985: ფინელმა კეკე როსბერგმა („უილიამს-ჰონდა") წრის აბსოლუტური რეკორდი დაამყარა — 259,005 კმ-სთ.

1987: ნაიჯელ მენსელმა („უილიამს-ჰონდა") თავისი მეათე „დიდი პრიზი" მოიგო.


ჯონი ჰერბერტმა შარშან მოულოდნელად გაიმარჯვა

1988: კოკისპირულ წვიმაში კარიერაში მეათედ გაიმარჯვა აირტონ სენამ („მაკლარენ-ჰონდა"). რბოლას თავიდან ბერგერი („ფერარი") კი ლიდერობდა, მაგრამ ფორმულა-1-ის „წვიმის კაცმა" — სენამ მოახერხა მისი ჩამოტოვება. 24-ე წრეზე ჩემპიონატის ლიდერი ალენ პროსტი, იმ დროს 16-ე პოზიციაზე მყოფი, ბოქსებში შევიდა, რბოლა მიატოვა და განაცხადა, ასეთ თავსხმაში რბოლა სიგიჟედ მიმაჩნია, სულაც არ მინდა, თავი შევაკლა, მირჩევნია საღამოს ოჯახს ცოცხალი დავუბრუნდეო. ჩემპიონატის ჩათვლაში 15-ქულიანი უპირატესობა ამის თქმისა და რბოლის შეწყვეტის საშუალებას კი უქმნიდა ერთი შეხედვით, მაგრამ პროსტი ძალიან მოტყუვდა: სენამ ის რბოლაც მოიგო, მომდევნო სამი ეტაპიც მიაყოლა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

1991: ნაიჯელ მენსელმა თავისი პირველი „დიდი სლემით" (პოულ-პოზიცია, საუკეთესო წრე რბოლისას, ლიდერობა პირველიდან ბოლო წრემდე და გამარჯვება) დაასრულა რბოლა.

1992: მენსელის მეოთხე და უკანასკნელი „დიდი სლემი".

1993: პროსტის 50-ე გამარჯვება.

1994: გასახურებელ წრეზე შუმახერმა პოულის მფლობელს ჰილს გაუსწრო, რისთვისაც რბოლის დროს შავი ალამი (საჯარიმო გაჩერების ნიშანი) აუფრიალეს, მაგრამ გერმანელმა, ვითომც არაფერიაო, რბოლა განაგრძო და მეორე ადგილზეც დაამთავრა. მსაჯებმა მას ქულებიც „ჩამოაჭრეს" და 2 რბოლაც გამოატოვებინეს.


დეიმონ ჰილის შარშან „სილვერსტოუნზე" ფათერაკი შეემთხვა

შარშან აქ პირველად გაიმარჯვა ჯონი ჰერბერტმა. თუმცა ამაში ძალიან „დაეხმარნენ" ჰილი და შუმახერი, რომლებიც რბოლას გამოეთიშნენ.

## პროგნოზი

„სილვესტოუნის" ტრასა ერთ-ერთი ყველაზე სწრაფია. სწორ ანუ სწრაფ მონაკვეთებს შედარებით ნელი მოსახვევები ენაცვლება და უპირატესობაც მძლავრძრავიან („რენო", „ფერარი") ბოლიდებს უნდა ჰქონდეთ. ბოლო 5 წლის მანძილზე „უილიამს-რენომ" ამ ტრასაზე ოთხჯერ გაიმარჯვა და ალბათ წელსაც მისი პილოტები იქნებიან უპირველესი ფავორიტები. თუმცა, ისეთი პირი უჩანს, ჰილსა და ვილნევს შორის ურთიერთობა იძაბება. კანადელი პილოტი სულ უფრო უშინაურდება ფორმულა 1-ს და აკი პრესაშიც როყიოდ აცხადებს, არ მაინტერესებს გუნდურ ტაქტიკაზე ლაპარაკი, რადგან სულაც არ ვაპირებ გამარჯვებები ვაჩუქო ჰილსო. ეს ბუტიაობა შეიძლება რბოლაშიც გამოჩნდეს და თუ ჰილი და ვილნევი ერთმანეთის ჯიბრს გადაჰყვნენ, ამით სხვა პილოტები ისარგებლებენ. ეს, სხვათა შორის, „უილიამსის" პილოტებს უწინაც არაერთხელ დამართნიათ.

## სად ვუყუროთ

შაბათს, ჩვენი დროით 17 საათზე დაიწყება კვალიფიკაციის პირდაპირი ტელერეპორტაჟი „ევროსპორტით", კვირას კი 18 საათზე რბოლაც გადმოიცემა.

**ალეკო ტაბუკიანი**

იყიდება

თეთრი, გამჭირვალე
ორგანული მინა
75X75
ტელეფონი: 95-22-56

სარბიელი

სპორტული ლატარეა
"CROCO"
ინტერტოტოს თასი
13-14 ივლისი, IV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| შტუტგარტი — სტანდარდი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| ოლბორგი — კლიფტონვილი | 1,05 | 3,6 | 9,0 |
| ტოფტირი — ვერდერი | 7,0 | 4,0 | 1,05 |
| ლინცერი — აპოლონი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| კოპენჰაგენი — აუსტრია | 1,6 | 3,0 | 3,0 |
| ერებრუ — მარიბორი | 1,2 | 3,1 | 6,0 |
| ქონვი — რიედი | 3,4 | 3,0 | 1,5 |
| შარლერუა — ზაგლებიე | 3,0 | 3,0 | 1,6 |
| ნანტი — ჰერენვეენი | 1,15 | 3,2 | 6,5 |
| კაუნასი — სლაიგო | 1,5 | 3,0 | 3,4 |
| სეგესტა — რენი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ორგრიტე — ჰაპოელი | 1,1 | 3,3 | 7,0 |
| ანთალიასფორი — როტორი | 2,1 | 2,8 | 2,1 |
| ბაზელი — ატაკა აურა | 1,15 | 3,2 | 6,5 |
| კაუჩუკი — მიუნხენი | 3,4 | 3,0 | 1,5 |
| კამაზი — ვარნა | 1,15 | 3,2 | 6,5 |
| კარლსრუე — ჩუკარიჩკი | 1,1 | 3,3 | 7,0 |
| უნივერსიტატია — ტრნავა | 2,5 | 3,0 | 1,8 |
| ნარვა — ლიერსი | 6,0 | 3,3 | 1,15 |
| გრონინგენი — ვაშაში | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| სტრასბური — ურალმაში | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ქოჯაელისფორი — ჰიბერნიანსი | 1,1 | 3,3 | 7,0 |
| ზემუნი — იარო | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| კოლხეთი — გინგამი | ანგარიშის გამოცნობა — 4,0 | | |

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე

სპორტული ლატარეა
CROCO-2
ტირაჟი №41
ინტერტოტოს თასი
UEFA INTERTOTO CUP

1 კოპენჰაგენი — აუსტრია
2 შარლერუა — ზაგლებიე
3 სეგესტა — რენი
4 ანთალიასფორი — როტორი
5 გრონინგენი — ვაშაში
6 სტრასბური — ურალმაში
7 ზემუნი — იარო
8 კოლხეთი — გინგამი

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 40 ლარია. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება JACK POT

# ფიცი, ლოცვა და კურთხევა



„ყველა სპორტსმენის სახელით პირობას ვდებ, რომ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისას პატივს მივაგებთ და დავიცავთ იმ წესებს, რომლის მიხედვითაც ტარდება შეჯიბრებები. ჭეშმარიტად სპორტული სულისკვეთებით ვიბრძოლებთ სპორტის სადიდებლად და ჩვენი გუნდის ღირსების დასაცავად“ – სამშაბათს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მუზეუმში ასე დაიფიცა ყვარლელმა ძიუდოისტმა გიორგი წმინდაშვილმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა მედეა ჯუღელმა სხვა ვეტერანი ოლიმპიური ჩემპიონებისა და პრიზიორების სახელითაც ატლანტაში საპაექროდ წამსვლელთ კი ამ სიტყვებით დაულოცა გზა:

„ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა თავისთავად დიდი წარმატება და დიდი ბედნიერებაა სპორტსმენისათვის, თქვენ კი ორმაგად ბედნიერები ხართ, რადგან ოლიმპიადაზე საქართველოს სახელით გამოხვალთ, ჩვენი სამშობლოს ღირსებას დაიცავთ. უფროსი თაობის ოლიმპიელებიც გარკვეულწილად საქართველოს ღირსებას ვიცავდით – მაშინ საბჭოთა კავშირის ნაკრებში საქართველოს წარმომადგენლები ვიყავით, მაგრამ ეს მსოფლიოში არავინ იცოდა და აუხდენელ ნატვრად დაგვრჩა საქართველოს დროშის ამართვა და ჰიმნის აჟღერება ჩვენი გამარჯვების აღსანიშნავად.

ნამდვილად გვშურს თქვენი, თეთრი შურით გვშურს – საქართველოს სახელით ოლიმპიადაზე გამოსვლა ხომ ყველა თაობის ქართველი ოლიმპიელის ოცნება იყო მთელი 30 წლის მანძილზე. ისტორიამ და განგებამ თქვენ გარგუნათ ამ ოცნების ხორცშესხმა. იმედი გვაქვს, დარწმუნებული ვართ, ეს ძალას შეგმატებთ და ატლანტიდან გამარჯვებულები დაბრუნდებით სამშობლოში. გვჯერა, რომ თქვენი ოსტატობისა და მონდომების შედეგად ჩვენი ქვეყანა ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ორასქვეყნიან ოლიმპიურ ოჯახში.

გზას დაგილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ“!

ამის მერე ოლიმპიელებს მიღებაზე გზა დაულოცა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც ჩვენს ათლეტებს, მათ მწვრთნელებსა და სპორტის მესვეურებს „სასიამოვნო სტუმრები“ უწოდა.

„თქვენ შეუძლებელი შეძელით“, ამ სიტყვებით შეაფასა პრეზიდენტმა საქართველოს სპორტსმენთა მიერ ოლიმპიური ლიცენზიების მოპოვება.

ისც ითქვა, სხვა სპორტსმენებსაც რომ ჰქონოდათ ისეთი პირობები, როგორიც ჩვენს ოლიმპიელებს, მაშინ საქართველოს ათლეტთა გუნდი ორჯერ გაიზრდებოდა, შარშან კი იმასაც კი ვერ შევძლებდით, რასაც ახლა მივაღწიეთო.

იქვე მოეწყო პრეზენტაცია ატლანტის ოლიმპიური თამაშებისა და საქართველოს ოლიმპიელებისადმი მიძღვნილი სიმღერისა, რომლის ტექსტის ავტორიც გახლავთ ჯანსულ ჩარკვიანი, ხოლო მუსიკისა – ვაჟა აზარაშვილი. გამოთქვეს რწმენა, რომ ეს სიმღერა ჩვენი ოლიმპიელების ჰიმნი გახდება.

მოეწყო პრეზენტაცია საქართველოს დელეგაციის საადლუმო სამოსისაც, რომლის ესკიზის ავტორი ახალგაზრდა მხატვარი ირაკლი იმერლიშვილი გახლავთ.

„შესანიშნავია!“ – ამ სიტყვებით შეაფასა საქართველოს პრეზიდენტმა, როცა უნგრეთში შეკერილი სამოსით დამშვენებული ჩვენი მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატი ეკა აბრამია და გიორგი წმინდაშვილი იხილა. მერე იქვე ღიმილით დასძინა, მე მგონია, ეგ ტანსაცმელი ოქროს მედლებითაც უნდა დამშვენდესო.



ეკა აბრამია და გიორგი წმინდაშვილი ოლიმპიურ სამოსში

სოხუმელმა ლტოლვილმა, თავისუფალი სტილის მოჭიდავე ელდარ კურტანიძემ ამ მიღებაზე ბატონ ედუარდ შევარდნაძეს მიმართა, როცა თქვენ ომის დროს სოხუმში ჩამოდიოდით, ეს იმედს გვინერგავდა. ახლაც, როცა ოლიმპიურ თამაშებზე გზას გვილოცავთ, ესეც გვაიმედებს. ატლანტიდან რომ ჩამოვალთ, აფხაზეთში ოლიმპიური ოქროს მედლებით უნდა შევიდეთო.

ამაზე საქართველოს პრეზიდენტმა ბრძანა, ოლიმპიადაზე გამარჯვება აფხაზეთში გამარჯვების ნაწილია. აფხაზეთში მიმავალი გზა მით უფრო მოკლდება, რაც მეტი გამარჯვებები გვექნება სპორტში, კულტურაში, პოლიტიკაში...

ჩვენს ოლიმპიურ ჩემპიონებს, როგორც ცნობილია, პრიზად 50-50 ათასი დოლარი ელით. მეორე პრიზიორებს – 30-30, მესამე პრიზიორებს – 20-20 ათასი. შესაბამისი პრიზები დაწესებულია მათი აღმზრდელებისთვისაც, მაგრამ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა რწმენა, რომ ჩვენი თავგამოჩენილი სპორტსმენების ჯულაბა საქართველოს რეგიონების, ბიზნესმენების, საწარმოების წვლილითაც შეივსება.





გახდები მამიკო ჩემპიონი? დავით ხახალეიშვილი ვაჟთან ერთად

პრეზიდენტი ჩვენს თავგამოჩენილ სპორტსმენებს სახელმწიფო ორდენებსაც დაპირდა.

იმავე საღამოს ჩვენი ოლიმპიელები თავის რეზიდენციაში მიიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II.

პატრიარქმა დიდი ინტერესით გამოიკითხა საქართველოს სპორტსმენთა მიღწევები, მათი მზადყოფნა, გეგმები... დაინტერესდა ჩვენი ოლიმპიელების საადლუმო სამოსის ესკიზის ავტორით, ვისი ნამუშევრითაც ფრიად აღტაცებული დარჩა.

პატრიარქი ყველას გაუმასპინძლდა თითო ჭიქა კონიაკით და მათ აჩუქა უცხოეთში დაბეჭდილი „ახალი აღთქმა“ და „ფსალმუნი“.

ილია II სპორტსმენებს სთხოვა, დღეში ერთი გვერდი მაინც წაიკითხეთ. ყველაფერი ადამიანზეა დამოკიდებული, მაგრამ ბოლოს ყველაფერს ღმერთი წყვეტსო.

ცხადია, სპორტსმენებმა რეზიდენცია პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დატოვეს.

ავთანდილ გურასაშვილი

## აურზაური არაფრის გამო

თითქმის ყველაფერი გასრულებული და გარკვეული იყო. გარკვეული იყო, რომ ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს 36 ათლეტი იქნებოდა. სამშაბათს, როცა ჩვენმა სპორტსმენებმა ოლიმპიური ფიცი დადეს და ისინი საქართველოს პრეზიდენტმა და პატრიარქმა თავთავიანთ რეზიდენციებში მიიღეს, მერე კი გაძეძგილი ვება ჩანთებით შინისკენ გასწიეს, ჩვენ სეოკ-ის შტაბ-ბინას მივაშურეთ. იქ გვიანობამდე შემოვრჩით.



ერთი კვირის თავზე ისინი საქმეში ჩაებმებიან

და აი, სწორედ ამ დროს [illegible] ის ყველა [illegible] ამოისუნთქა და [illegible] ლაფერი გასრულებული და გარკვეულიაო, ფაქსი მოვიდა. „მორიგი“ ფაქსი მოვიდა და კვლავ ააწრიალა ყველანი – თბილისშიც, მოსკოვშიც, ატლანტაშიც და თურქეთშიც.

მაინც, რა ეწერა ისეთი იმ ფაქსში, რომ ყველანი ფეხზე დააყენა?

მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციიდან და ატლანტის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტიდან გამოგზავნილი ერთი ფაქსით სეოკ-ის პრეზიდენტ ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს აუწყებდნენ, თქვენ შეგიძლიათ მშვილდოსნობაში დამატებით... ერთი ვაჟი გამოიყვანოთო.

ფაქსის გამომგზავნელებს აცნობეს, მშვილდოსანი ვაჟი... საერთოდ არ გვყავსო.

ამას ცხრა მთას იქიდან თუ ოკეანეს გაღმიდან მეორე ფაქსი მოჰყვა. ეს ფაქსი ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილის სახელზე კი იყო, მაგრამ იგი მოხსენიებული იყო, როგორც... ესტონეთის ეოკ-ის პრეზიდენტი. ამ ფაქსის გამომგზავნელები შეცდომისთვის დიდი ბოდიშს იხდიდნენ და იუწყებოდნენ, ვაჟის კი არა, ქალის გამოყვანის უფლება გეძლევათო.

სეოკ-ში, როგორც იტყვიან, მთლად აირია მონასტერი და კითხვა ელვის უსწრაფესად გაგზავნეს, ქალის გამოყვანის უფლებას საქართველოს აძლევთ თუ ესტონეთსო. გაგვაგებინეთ, თქვენი ფაქსის ადრესატი საქართველოს ეოკ-ის პრეზიდენტია თუ ესტონეთისო.

აი, სწორედ მაშინ იყო, ის „მორიგი“ ფაქსი [illegible] – [illegible] მით და ესტონეთის ნაცვლად საქართველო იგულისხმეთო.

და სეოკ-ში ისევ ატყდა ორომტრიალი – ხათუნა ფუტკარაძის ჩანთის გაძეძგვა, ტელეფონების რეკვა, ფაქსების გზავნა, რომ მისთვის მოეგვარებინათ მგზავრობის პრობლემები, მოსკოვში ერთი ღამით დაბინავებისა თუ აშშ-ს საელჩოში ვიზის მიღების საკითხი.

თუმცა თავად ამ ბათუმელმა სპორტსმენმა არაფერი იცოდა, რადგან იგი თურქეთში იყო შეკრებაზე.

იქაც გაიგზავნა ფაქსი, სასწრაფოდ ჩამოდიო.

ამასობაში საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი ჯანსულ ბაგრატიონი ატლანტაში ჩავიდა. უმალ სააკრედიტაციო სამსახურს მიაშურა და აცნობა, ერთი სპორტსმენი დაგვემატა და სულ 37 გვეყოლებაო. რამდენიმე წუთში მოსაგვარებელი საქმე დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე გაიწელა. ფუტკარაძის ამბავი არკვიეს, არკვიეს და, ბოლოს დაადგინეს, თბილისში გამოგზავნილი ბოლო ფაქსიც შეცდომა ყოფილა.

ასე გასრულდა არაფრის გამო ატეხილი აურზაური, რაზედაც ვერ ვიტყვით ქატო იქა, ფქვილი აქაო.

ავთანდილ ჟუჟიშელი

ავთანდილ გურასაშვილისა და ბადრი კეთილაძის ფოტოები





საპატრიარქოში მიღებაზე

გოგი ახვლედიანის

## სვეტი

## მსიე ჟანდიერი და ფეხბურთი

ყაფლან ჟანდიერმა კვლავ მოუხშირა ყარაჩიდან წერას.

ჩემი მიდგომა ამ კაცისადმი ამგვარია: ბატონი ჟანდიერი მეტად აქტიურად ერევა ისეთ საქმეებში, რომლებშიც ჩვენ და სხვანიც ვერც კი გავბედავდით ცხვირის ჩაყოფას. თანაც ამას მეტად მსუბუქად და ახირებულად სჩადის. აქედან ვასკვნი, რომ ჟანდიერი საშიში კაცია და „სარბიელის" ფურცლებიდან რომ გვილიმის, ეს ოდენ პოზაა — თვალის ასახვევი იერი.

რახან ჟანდიერი საშიში კაცია, მასთან გადაკიდება არ ღირს. ყველა შემთხვევაში, კეთილი ღიმილი არ უნდა დაამადლო, თორემ მაგან მარადონას შემოჰკრა სილა ნეაპოლში და შენ მოგერიდება?

ყაფლან (ჟანზურაბის ძეს) თურმე მიაჩნია, რომ მსოფლიო გაიძვერათა და ფლიდთა უსტაბაში, ტაისონის პატრონი დონ კინგი მეტს აკეთებს სპორტისთვის, ვიდრე სერ ბობი ჩარლტონი. სამეფო კარზე აღზრდილი ჟანდიერის ამგვარი ახირება შესაძლოა საკვირველადაც კი გეჩვენოთ, მაგრამ ეს კაცი, რომელიც ამდენს წერს და ილვწის უცხო რამ ხილთამაშობათა გამო, ფეხბურთს სარეკლამო რგოლებშიც კი არიდებს თვალს.

ჟანდიერის ეს ახირება რომ მსმენოდა, მისი ელექტროფოსტის ნომერი Qaflan@KhuzlBab.co.pk გამოვთხოვე რედაქციას და ერთადერთი შეკითხვა გავუგზავნე:

— სერ, რატომ არ გიყვართ ფეხბურთი?

— იმიტომ, რომ მას ინგლისის გარდა სხვაგანაც თამაშობენ, — იყო პასუხი. •

ამის შემდეგ ისლა დამრჩენოდა, რომ კიდევ ერთი შეკითხვა მეფრინა:

— პო, მაგრამ რაგბს, იმ თქვენს კრიკეტს, გოლფს და სქვოშსაც თამაშობენ სხვა ქვეყნებში, სტიპლ-ჩეიზსაც მისდევენ და ფეხბურთმა რაღა დააშავა?

რის გამოც მივიღე პასუხი, რომელსაც უცვლელად ვაქვეყნებ:

— მე არ მიყვარს თამაში, რომელშიც ინიშნება პენალტი და ეს პენალტი წყვეტს მოგება-წაგების ბედს. ესეც რომ არ იყოს, მე არ მიყვარს თამაში, რომელიც თავიდან ბოლომდე მოტყუებაზეა აგებული. მე უფრო მირჩევნია ისეთი სპორტი, სადაც მოხერხება(ც) საჭიროა და არა ტყუილი, რომელიც ლამაზი კი გამოდის, როცა ამას გარინჩა ან ის ღმერთისხელიანი არგენტინელი ჩადიან, მაგრამ სრულიად არასპორტულია.

სპორტში იმდენი ნდობა უნდა არსებობდეს, რომ თამაშს მასპინძელი ქალაქის ან ქვეყნის წარმომადგენელი სჯიდეს. არ მიყვარს სპორტი, რომელშიც ერთს მოგარტყამენ კოჭში და შენ ნახევარ საათს წევხარ ბალახზე.

— ამნაირი მიდგომა არსად მსმენია, — მივწერე მე. ფეხბურთი ხომ ყველაზე ღრმა და რთული რამაა. ის ხომ მხოლოდ ბურთის გორება არ გახლავთ.

ამაზე ოდნავ გაბრაზებული პასუხი მოვიდა:

— თქვენს გაზეთში ზნე-კეთილი და ამაყი თენგიზა არტამონოვი რომ არ მუშაობდეს, არც კი მივმართავდი ელექტრო-ფოსტას. ფალკირკში ერთი საჯილდაო ქვა ძევს — ვინც ამას ასწევს, ბიჭიც ის გახლავთ, ეს სპორტია. თქვენ კი რაღაც სიღრმეებზე მელაპარაკებით.

— და მაინც ეგებ არ ებრძოლოთ ფეხბურთს?

პასუხი:

— კო მა ტე, კო მა ტე (ხომ იცით, ეს რა არის?) ნახვამდის.

არა, ასეთ კაცთან ისევ. დამეგობრება ჯობს. როგორც აბდულ იბნ-პალედ ბენ ქალებმა თქვა, ყაფლანს შეუძლია ბედუინებთან იცხოვროს, ლორდებთან ვისტი ითამაშოს და ბიურგერებთან სვას ლუდი, მაგრამ ყაფლანადვე დარჩება.

## ველო-რბოლა

# «დოიჩე ტელეკომი» რიგიანად ირჯება

გუშინ ტურზე ერთადერთი უქმე დღე იყო. იგი მრბოლებმა სამხრეთი საფრანგეთის დაბა გაპში გაატარეს, სადაც იტალიის ალპებიდან დაეშვნენ.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე პირველად ხდება, რომ ამ სტადიაზე ტურს ესპანელი მიგელ ინდურაინი ვერ ლიდერობს. ეს კაცი წელს უმაგალითო, ზედიზედ მეექვსე მოგებას უმიზნებს, მაგრამ ჯანზე აშკარად ვერაა, თუმც კი უმთავრესი კონკურენტი — მსოფლიო კლასიფიკაციის პირველი ნომერი ლორან ჟალაბერი ვეღარ ეტოქება — კუჭის ტკივილის გამო უკვე გავარდა.



ჟალაბერი გავარდა

8 ივლისის IX ეტაპზე ტურის ისტორიაში გაუგონარი რამ მოხდა: ორგანიზატორებმა მარშრუტი შეცვალეს, რადგანაც ბოლო 67 წლის მანძილზე ალპებში პირველად გადაეყარნენ თოვლს. ისე საშინელი ამინდი იდგა, რომ 190-კილომეტრიანი ეტაპის საწყისი ორი მონაკვეთი მონაწილეებს ტექდახმარების მანქანებით გაალევინეს, მერე კი სულ რაღაც 46-კილომეტრა შეჯიბრი მოუწყვეს, საზღვარს გადალმა, იტალიის სამთო კურორტ სესტრიერიში რომ დასრულდა.

ლიდერი შეიცვალა. ყვითელკვართიან რუს ევგენი ბერზინს ჯგრომ ჩაუქროლა. ბოლო ხუთ კილომეტრზე დანიელი ბიარნე რიისი წინ გაიჭრა და სხვებიც აიყოლია, მაგრამ ფინიშთან მოწინავენი მაინც სათითაოდ და წყვილად მივიდნენ. რიისმა (დოიჩე ტელეკომი) 24 წამი მოუგო ფრანგებს — ლუკ ლებლონს (პოლტი) და რიშარ ვირონკს (ფესტინა), ხოლო 29 წამი — შვეიცარიელ თონი რომინგერს (მაპეი) და ინდურაინს (ბანესტო). ბერზინმა (გევისი) წუთი და 23 წამი წააგო და ლიდერობა დაკარგა. ამ ეტაპის შემდეგ იგი 40 წამით ჩამორჩებოდა რიისს. ლიდერთან რომინგერი 53 წამს აგებდა, ესპანელი მსოფლიო ჩემპიონი აბრამ ოლანო (მაპეი) — 56 წამს, გერმანელი იან ულრიხი (ტელეკომი) — 1.28-ს, ხოლო მერვე ადგილზე მიმავალი ინდურაინი — 4.38-ს.

9 ივლისს, X ეტაპზე (ტურინი — გაპი, 203 კმ) რბოლას მზიანი დარი და უღრუბლო ცა შეხვდა. ფრანგი გრანდი ლორან ჟალაბერი (ონსე) ლიდერს 26 წუთით ჩამორჩებოდა და ამ ეტაპის დასაწყისშივე შეეშვა შეჯიბრს, რის შედეგადაც გუნდი ულიდეროდ დატოვა. გავარდა ბელგიელი იოჰან ბრუნილიც. ჯგროს 15 კაცი გამოეყო. მასში სხვებს „ტელეკომის" ბიჭები სჭარბობდნენ, მაგრამ მერე 20 წლის დანიელმა რალფ სორენსენმა (რაბობანკი) კვლავ შეუტია და ერთი პირობა 50 წამითაც კი დაწინაურდა, მაგრამ ხუთსაათიანი რბოლის ბოლო 5 კილომეტრს ვეღარ გაუძლო.

დანიელი ფინიშს ხედავდა, მდევრები რომ წამოეწივნენ და ჩანთქეს. ბოლოს სპრინტი გაიმართა. „ტელეკომმა" თავისი კაცი გაიყვანა ყველაზე აქტიურ მრბოლად — გერმანელმა ერიკ ცაბელმა აჯობა უზბეკ ჯამოლდინ აბდუჯაფაროვს და რაკი გზად ორი საშუალედო ფინიშიც მოიგო, ყველაზე დაუდეგარი მრბოლის სარგო მწვანე კვართი წაართვა ფრანგ ფრედერიკ მონკასენს (განი). რაც შეეხება მთის მეუფის წითლად დაწინწკლულ თეთრ კვართს, იგი ვირონკს დარჩა.

ლიდერთა წყობა არ შეცვლილა. კვლავ „ტელეკომის" ჯილა, დანიელი ბიარნე რიისი ლიდერობს იმავე სხვაობით.

**ვასო გუჩმაზაშვილი**

## მძლეოსნობა

# ორჯერ მეხუთე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიადამდე ერთი კვირაღა, ევროპაში კი საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) დიდი პრიზის გათამაშების სეზონია. ორშაბათს ამ სერიალის ტურნირს სტოკჰოლმი მასპინძლობდა, ოთხშაბათს — ნიცა.

სტოკჰოლმში არ უასპარეზია ნამიბიელ ფრანკი ფრედრიქსს, ვინაც პარასკევს ოსლოში 200 მეტრზე სირბილში დაამარცხა ამერიკელი მაიკლ ჯონსონი და 21-სტარტიანი წაუგებელი სერია დაასრულებინა. სამაგიეროდ, ჯონსონს ეჯიბრებოდნენ ტრინიდადელი ატო ბოლდონი და ამერიკელი ჯონ დრამონდი.

ჯონსონმა კარგად ირბინა და შესანიშნავი შედეგით — 19,77 წამი გაიმარჯვა, რაც მძლეოსნობის ისტორიაში მეექვსეა და ერთობ დიდ მიღწევადაც უნდა ჩაითვალოს სტოკჰოლმის ნელ ბილიკზე. ბოლდონიც ჩაეტია 20 წამში, მაგრამ უსიტყვოდ წააგო. გარდა ამისა, ბოლდონმა გაიმარჯვა 100 მეტრზეც, სადაც სამი ფოლ-სტარტის გამო შედეგი ულიმლამო გამოვიდა. სამივე პრიზიორს 10,07 წამი დაუფიქსირეს. დრამონდი მეორე ადგილზე დარჩა, მსოფლიოს ჩემპიონი, კანადელი დონოვან ბეილი კი — მესამეზე.

საგულისხმო იყო გრძელ და საშუალო მანძილებზე გარბენებიც. 1 500 მეტრზე ქალთა შეჯიბრში კარლ საკრამენტუმ (პორტუგალია) ერთობ ნელ გარბენში დაამარცხა მარია მუტოლა (მოზამბიკი). გამარჯვებულის დროა 4.07,72. სამაგიეროდ, გადასარევი გამოდგა ვაჟთა გარბენი. მაროკოელმა ჰასიმ ალ გარუჯმა საიდ აუიტას ეროვნული რეკორდი ვერ გააუმჯობესა, თორემ ბურუნდელი ვენუსტი ნიანგბო კი დაამარცხა და ყველა დროის მესამე შედეგიც 3.29,59 გაახერხა.

ამავე სტატუსის, ან იქნებ უკეთესი დროც დაფიქსირდა 5 000 მეტრზე ვაჟთა სირბილში. მონაწილეობდა ერთბაშად შვიდი კენიელი. ისევ და ისევ გადასარევი შედეგით 12.51,60 გაიმარჯვა ნორჩმა დანიელ კომენმა, ვინაც ატლანტაში ვერ იასპარეზებს, ვინაიდან ეროვნულ პირველობაში მეოთხე ადგილზე დარჩა, ოლიმპიადაზე კი სამი უკეთესი მიყავთ.

ატლანტაში არ მიასუნინებენ არც კენიის მძლეოსნობის ფედერაციის გენერალურ მდივანსა და მთავარ აღმასრულებელს. ამათ დაბრალდათ, უცხოელ აგენტებთან არიან შეკრული და ქვეყნიდან ტალანტის გადინებას უწყობენ ხელსო — ხელისუფლების უკითხავად ევროპას აგზავნიან მომავალ ჩემპიონებს და იქ სარფიან შეჯიბრებებში აბამენო.

**რეზო ნემსაძე**

## რაგბი

# წავიდნენ, ლიგას მიმართეს

შაბათს, სამეულის სერიალის პირველ ტურში ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსთან" სასტიკად 6:43 რომ დამარცხდნენ, ავსტრალიის „ვოლაბთა" სელექტორებმა ხუთი საათი იბჭეს და სამხრეთი აფრიკის „ქურციკებთან" ხვალინდელი მატჩისთვის ოთხი კაცი შეცვალეს. როგორც გუნდის მწვრთნელმა გრეგ სმითმა აღიარა, გასაგდები კიდევ ბევრი იყო, მაგრამ შემადგენლობის სტაბილურობაც ხომ საქმეაო. ისე კი, უკანახაზელ ვარსკვლავებსა და კიდევ ზორზოხ მორკინალ მორგანს არა-ორაზროვნად აგრძნობინეს, რომ ერთი წაგებაც და ამათი საერთაშორისო კარიერა დასრულდება.



სიდნეის მატჩისთვის დაიწუნეს ჰარი (1), ფინეგანი (6), პეინი (9) და ბოუენი (10). მათ შეცვლიან ჰითი, მანუ, გრეგანი და ჰოვარდი. წელს ოთხივეს უთამაშია ნაკრებში, მაგრამ მერე ჩამოალაბორანტეს. სულ „ვოლაბთა" უფროსობამ წელს 24 მოთამაშე გამოსცადა, მაგრამ 1991 წლის მსოფლიო ჩემპიონმა წინა კვირაში მაინც სამარცხვინოდ წააგო.

ავსტრალიელები ერთობ შეუწუხებია მოთამაშეთა სიდედლეს. ესენი თურმე თავიდანვე გატყდნენ და მეტოქეს ვეღარ ბოჭავდნენ. ამ ნაკლის გამოსასწორებლად სმითმა უხმო ვეინ პირსს, რომელიც სიდნეელი ექს-ვარსკვლავი ყოფილა, ოლონდაც ... ლიგურ ბურთაობაში. ამ კაცმა თურმე უკვე დაატყო ხელი „ვოლაბებს" და ესენიც გამმაგებით ემზადებიან „ქურციკების" სათეთქვად.

ამ ტურში ზელანდია ისვენებს. საქმე მისალოცად ჰქონია მის 10 ნომერ ენდი მერთენსს (ფოტოზე), ვისაც 200-ქულიანი მიჯნა მე-12 ტესტში დაუძლევია და დაუმხია თანამემამულე გრანტ ფოქსის რეკორდი, ვინაც ამდენივე ქულის მოგროვებას 13 თამაში მოანდომა.

ავსტრალია ზელანდიასთან რომ დამარცხდა, იმავ დღეს ფრანგი ვეტერანი, შუამარბთა უფლისწულად ცნობილი ფილიპ სელა მშობლიურ ქალაქს — აჟონს დროებით დაეთხოვა, რადგანაც ლონდონის „სერეზინზში" გადადის. გამოსათხოვრად გაიმართა თამაში-ყეენობა, რომელშიც სელამ ბოლო ლელო კი გაიტანა, მაგრამ მის მიერ შეკრებილი მსოფლიო ნაკრები მაინც 42:92 დამარცხდა „ფრანგ ბარბაროსებთან". სელას 14 წლის მანძილზე ნაკრებში 111-ჯერ უთამაშია, რაც მსოფლიო რეკორდია.


სელა

PACIFIC RIM RUGBY CHAMPIONSHIP

წყნარი ოკეანის სანაპიროს პირველობა: 29.06. აშშ — ჰონკონგი 43:23 (სან-ფრანცისკოში). 6. 07. კანადა — ჰონკონგი 57:9 (ვანკუვერში); აშშ — იაპონია 74:5. გასამართია ბოლო მატჩი: კანადა — იაპონია, მაგრამ კანადა 17 ქულით უკვე ჩემპიონია. აშშ-მა 15 ქულა დააგროვა, ჰონკონგმა — 10, იაპონიას კი 8 ქულა აქვს. არადა, ვიდრე ჰონკონგს გაანადგურებდა, კანადამ ავსტრალიასთან 9:74 წააგო, ამან კი ამავე ყაიდის ანგარიშით — ზელანდიასთან. საკითხავი ახლა ისღაა, რამხელა ანგარიშით წააგებს ჰონკონგი ზელანდიასთან.

## ჩოგბურთი

# ორი მარტინა

ნვიმების გამო უიმბლდონის პირველობა ორშაბათსღა დასრულდა და რეკორდიც დამყარდა. 15 წლის შვეიცარიელმა ვუნდერკინდმა მარტინა ჰინგისმა და ჩეხმა ჰელენა სუკოვამ წინა დღეს დაუმთავრებელი თამაში 5:7, 7:5, 6:1 მოუგეს მერედით მაკგრაფს (აშშ) და ლარისა ნილანდს (ლატვია) და ქალთა წყვილების პირველობაში გაიმარჯვეს.

რეკორდსმენი აღმოჩნდა ჰინგისი, ვინაც უფროსთა ჩემპიონი 15 წლისა და 282 დღისა შეიქნა, რითაც 1887 წელს დამყარებული რეკორდი გააუმჯობესდა. ამ გოგომ წელს უკვე დაამარცხა გრაფი და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებენ, თუმც მაინც შიშობენ, ემანდ თრეისი ოსტინისა და ჯენიფერ კაპრიატის დარად არ ჩაიფერფლოსო.


ჰინგისი უფროსთა უმრწემესი ჩემპიონი

უიმბლდონში ითამაშა 39 წლის ამერიკელმა მარტინა ნავრატილოვამაც. იგი ამჯერად თუმც საკაბელო ტელე-არხ „ეიჩ-ბი-ოუს" კომენტატორად მუშაობდა, შარშანდელივით მაინც შეუამხანაგდა თანამემამულე ჯონათან სთარქს და შერეულ წყვილთა ტიტულის დაცვა სცადა, მაგრამ მეოთხედფინალში იწვნია მარცხი. ეს თამაში პირველ კორტზე გაიმართა და რომ მორჩა, მარტინამ ბალახი მოწიწკნა და სახსოვრად გაიყოლა, აქაო და ამ მოედანზე უკანასკნელად ვითამაშეო. ნავრატილოვა ასევე მოიქცა ორი წლის წინ, როცა მთავარ კორტზე ფინალი წააგო ესპანელ კონჩიტა მარტინესთან.


ნავრატილოვა

მარტინამ ასე ვერ მოიპოვა მე-20 უიმბლდონური წოდება. მას ჯერაც არ უთქვამს, გაისადაც ითამაშებს თუ არა. არც ის დაუზუსტებია, აშშ-ის ღია პირველობაზე რა ამპლუაში მოევლინება საზოგადოებას, შერეულ წყვილთა ტიტული კი მოიგეს იმავე სუკოვამ და კირილ სუკმა, რომლებმაც ფინალი 1:6, 6:3, 6:2 მოუგეს მარკ ვუდფორდს (ავსტრალია) და იმავე ნილანდს. ერთი სიტყვით, სუკოვამ ერთ დღეში წყვილთა ორი ტიტული მოიხვეჭა, ნილანდმა კი ორივე ფინალში ითამაშა და წააგო.

ნავრატილოვას გარდა უიმბლდონში სუვენირებზე სხვებიც ნადირობდნენ. ორგანიზატორები გაგებით მოეკიდნენ იმას, რომ 5 000 პირსახოციდან 2 000 მონაწილეებმა ხელს გააყოლეს. ერთი, რომ ისინი 100 პროცენტით ბამბისა იყო; მეორეც, მათზე ამოექარგათ შეჯიბრების ემბლემა და წელი, რაც ჩოგბურთელებს მათ და უნებურად აცდუნებდა. ჰოდა, ვაჟები აღარ აბრუნებდნენ წითელ-მწვანე, ქალები კი — ცისფერყვითელ პირსახოცებს და შინ მიჰქონდათ.

ორშაბათსვე განახლდა პროფ-ტურის პროგრამა. უიმბლდონისა არ იყოს, წვიმდა გშტადშიც (შვედეთი), სადაც საფრანგეთის რუსი ჩემპიონი ევგენი კაფელნიკოვია განთესილი პირველ ნომრად. მეორე ნომერი, ჩილელი მარსელო რიოსი, ვისაც უიმბლდონში არ უასპარეზია, სამშაბათს გავარდა: 6:7, 6:3, 2:6 წააგო ჩეხ ირჟი ნოვაკთან.

## მერე, ისლამი?

1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ პირველად მოხდება, რომ სპარსი მანდილოსანი იასპარეზებს ოლიმპიურ თამაშებზე. იგია მავანი ტყვიის მსროლელი. მის გარდა ირანის საატლანტო გუნდში 20 სპორტსმენი ვაჟია.

## პრივი

# ტაისონი 7 სექტემბერს იჩხუბებს

კრივის მსოფლიო საბჭოს (ვბკ) მძიმეწონოსან ჩემპიონ მაიკ ტაისონს ბრონქიტმა რომ შეუტია, ამად გადაიდო მისი სახვალიო შერკინება მსოფლიო ასოციაციის (ვბა) ჩემპიონ ბრუს სელდონთან, რომელშიც მხოლოდ ამისი ქამარი გათამაშდებოდა. ტაისონის შეფმა დონ კინგმა ორშაბათს მიმართა ნევადის შტატის სპორტის („ათლეტიზმის") კომისიას და შერკინების ახალ თარიღად 7 სექტემბერი შესთავაზა. ჩხუბი უწინდებურად გაიმართება ლას-ვეგასის „ემ-ჯი-ემ გრენდ ჰოტელში".

**თენგიზ არტამონოვი**


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მემველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29